საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 168 (447) ოთხშაბათი, 2 სექტემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

აფხაზეთში ომია. განსაკუთრებით ფიცხელი ბრძოლები იყო ბზიფის ხეობაში, ქალაქ გაგრის ზონაში, რომელთა შედეგად ბევრია დაღუპული და დაჭრილი. მოწინააღმდეგე ცეცხლს უშენდა სოხუმს. ამიტომ საჭირო გახდა საპასუხო ღონისძიებების განხორციელება

წუხელ შევიტყვეთ

აფხაზეთის ამბები

გუშინ აფხაზეთის ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამით გადაიცა ცნობა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად გაგრაში უაღრესად რთული სიტუაცია შეიქმნა. წითელი ჯვარი-იფნარის რაიონში გააფთრებული ბრძოლების შედეგად, რომლებმაც 5 საათს გასტანა, საქართველოს მხარეს დაიღუპა 18 მებრძოლი, დაიჭრა 120 კაცი, მათგან 80 — მძიმედ.

ბზიფში დათარეშობენ აფხაზი ბოევიკები, რომლებიც ძარცვავენ ქართულ ოჯახებს და მძევლად აჰყავთ ქართველები.

სამწუხაროდ, საომარი მოქმედების რაიონში ფართოდ გავრცელდა ძარცვა და მაროდიორობა. აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, რომლებიც ოფიციალურად გადაიცა ტელევიზიით, საომარი მოქმედების დაწყებიდან დაიღუპა 127, დაჭრილია 497 კაცი.

წუხელ ვერ გავიგეთ, თუ რა ბედი ეწია კარჟაას, რომლითაც გუშინ დაჭრილები სოხუმის მიმართულებით წაიყვანეს.

1 სექტემბერს სოხუმის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომლითაც საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მინისტრ შ. შარაშენიძის მეთაურობით საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და მოსახლეობას ჩაუტანა 40 ტონამდე სურსათი. სულ ამ დღეებში სამინისტრომ აფხაზეთში გაგზავნა 20 ტონა კარაქი, 30-30 ტონა ხორცისა და რძის კონსერვი, შედედებული რძე, 7 ტონა შაქარი, 25 ათასი კოლოფი სიგარეტი.

საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ამ დღეებში მიმართავს ასობით თბილისელი და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც ითხოვენ დაეხმარონ, რათა აფხაზეთში გაგზავნონ მათ მიერ შეგროვილი ფულით შეძენილი სურსათი. არსებულ სიძნელეთა მიუხედავად, ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ რეგიონი საკმარისი რაოდენობით მოამარაგონ პირველი საჭიროების პროდუქტებით.

მშვიდობა წამებულ მიწაზე

ხელმძღვანელობდა რა ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციების ჰუმანიტარული პრინციპებით, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის მთავარმა სამმართველომ მოუწოდა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დაპირისპირებულ მხარეებს დაუყოვნებლივ შეწყდეს ძმათამკვლელი ომი და დამყარდეს მშვიდობა ჩვენ წამებულ მიწაზე.

ისევ გრძელდება „სპილენძის" ბუმი?

31 აგვისტოს და 1 სექტემბერს ღამით დაზიანდა პირდაპირი სატელეფონო კაბელი, რომელიც საქართველოს რკინიგზის სამმართველოს აკავშირებდა ფოთის საზღვაო ნავსადგურთან და რკინიგზის სადგურთან. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს უთხრა რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ოლეგ ბიბიაშვილმა, ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ უცნობმა პირებმა კიდევ ერთხელ მოიპარეს სატელეფონო სპილენძის კაბელი. მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

აფხაზეთი:

ბრძოლები გრძელდება

აფხაზეთში ვითარება კვლავ დაძაბულია. ეგრეთ წოდებული აფხაზეთის გვარდია და კავკასიის მთიელ ხალხთა ექსტრემისტული კონფედერაციის შეიარაღებული ბანდები განუწყვეტლივ ესხმიან თავს სოხუმში, გაგრაში და სხვაგან განლაგებულ საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილებს.

აფხაზეთში იყო საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელმაც აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჰუმანიტარული დახმარების სახით მედიკამენტები და შესახვევი მასალა გადასცა იმ რაიონებისთვის, სადაც ამჟამად ბრძოლები მიმდინარეობს.

სურათებზე: აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მერი ჯანგველაძე მადლობელია საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლებისა ჰუმანიტარული დახმარების გაწევისათვის; საქართველოს ეროვნული გვარდიის გორის ბატალიონის მებრძოლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოხუმის რკინიგზის სადგურის დაცვისათვის ბრძოლებში 26 აგვისტოს ღამით და განადგურებას გადაარჩინეს იგი; ქალაქის მისადგომები ჩაკეტილია; აფხაზეთის ტერიტორიაზე ბრძოლებში საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილებმა ათობით ადიღე, ბალყარელი და ჩრდილოკავკასიელი გაანადგურეს და დაატყვევეს. სურათზე თქვენ ხედავთ მაიკოპიდან „სტუმრად" ჩამოსულ მურად კოცევს, ადამ მამის, ადამ ბოგუსსა და რუსლან ხაბახუმოვს, რომლებიც ჩვენმა მებრძოლებმა 27 აგვისტოს ბრძოლებში დაატყვევეს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ჯანსუღ ჩარკვიანი

მტრის გულზე დასაყრელადა...

ხევსურული მოტივი

ლექსი ეძღვნება ჩვენს შვილებს — ეროვნულ გმირებს, რომლებიც სისხლს ღვრიან მშობლიური მიწისთვის.

ამ მიწით შეგვქმნა უფალმა,
მარჯვენა მოგვცა ქველადა,
სიმღერად ხნული გაავლო,
ბელტი დაჰყარა ბგერადა.

მთა მოგვცა, ბარი — ბარადა,
ტყე — ტყედა, ველი — ველადა,
იმავ მიწისგან მოზილა
ტაბლა, ჯამი და ხელადა.

გვირჩია, მიჯნურისათვის
ბრძოლაში გაჰრა ხელადა,
გვირჩია, მალვა ტრფობისა,
არვისგან გასამხელადა.

ნათელი ჭეშმარიტების
გულს ჩაგვისახა რწმენადა,
ზეცით გვასმინა ლოცვანი,
უძლურნი დასხნა წყევლადა.

გაჩნდა მწყემსი და ცხოვარი,
ნადირიც გაჩნდა ბევრადა,
მთვარემ მზე გაალამაზა,
მზემ მიწა გააფერადა.

იხარა მწვანე ჯეჯილმა
ამერ-იმერის შველადა,
მარიამ ღვთიშობელისა
სადიდებლად და მღერადა.

მაგრამ მიწა რის მიწაა,
გველი არ გაჩნდეს გველადა,
ისიც გაგვიჩნდა მიწაზე,
გაგვიჩნდა შიშის მგვრელადა.

მას შემდეგ ვგესლავთ ერთმანეთს,
ხშირად ვიღვრებით ცრემლადა,
ცოტანი გავუჩენივართ
ამ ცოტა მიწის მცველადა.

ცოტაა, მაგრამ ვენაცვლე —
არა ღირს კაცის წყენადა,
ცოტაა, მაგრამ გვეყოფა
მტრის გულზე დასაყრელადა.

1992 წლის 30 აგვისტო.

ნომერში

- ⊙ სცენის ღირსეულად დატოვება ყველას როდი შეუძლია. — 3
- ⊙ რომელ უზენაესს ავედრებს თავს ექსპრეზიდენტი? — 3-4

ურთიერთნდობისა და სამართლიანობის აღსადგენად

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის განცხადება

ამ უკანასკნელ ხანს საინფორმაციო წყაროების მეშვეობით ფართო აუდიტორიაში როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მასშტაბით, ვრცელდება სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელთა განცხადებები, რომლებიც არ გამოხატავენ არც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის პოლიტიკურ კურსს და არც საზოგადოების საერთო განწყობილებას.

კომიტეტს მიაჩნია, რომ ამგვარი განცხადებები, ისიც საომარ პირობებში გამოთქმული, არათუ არ უწყობს ხელს ვითარების ნორმალიზაციას, არამედ კიდევ უფრო აღრმავებს კონფრონტაციას დაპირისპირებულ მხარეთა შორის და ლახავს ადამიანის უფლებებსა და ღირსებას.

კომიტეტი მოუწოდებს ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელს, თავი შეიკავოს პოლიტიკური განცხადებებისაგან, მით უფრო, როცა ისინი ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებულ მტკივნეულ პრობლემებს ეხება. ამასთან კომიტეტი აცხადებს, რომ მისი მიზანია ქვეყანაში ადამიანისა და ეროვნებათა კანონიერი უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით.

ამ მიზნით კომიტეტი აფხაზეთში გზავნის თავის მუდმივ წარმომადგენელს ადგილზე ვითარების შესასწავლად და კონტროლის დასაწესებლად, ხოლო, თავის მხრივ, მოუწოდებს აფხაზურ მხარეს — ხელისუფლებას და საზოგადოებას, მიუხედავად შორსწასული დაპირისპირებისა — მოავლინოს თავისი წარმომადგენლები, რათა ორივე მხარემ ერთობლივად მიიღოს მონაწილეობა ადამიანისა და ეროვნების უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოამჟღავნებასა და აღკვეთაში, გამონახოს ოპტიმალური გზები ქვეყანაში ტრადიციული ურთიერთპატივისცემისა, ურთიერთნდობისა და სამართლიანობის აღსადგენად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში

ა. კავსაძე.

ვისაც სამშობლოსათვის გიძგერთ გული!

მიმართვა ქართველ ოფიცრებს

საქართველოს შვილებო!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი სამშობლოს მიღება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დიდი დამსახურებაა ქართველი ხალხის წინაშე. საქართველო შეუდგა საკუთარი ეროვნული არმიის ჩამოყალიბებას. დღეს სამშობლოს განსაკუთრებით სჭირდება ერთგული, გაწვრთნილი ჯარი, რომელიც დედასამშობლოს მოწოდებით ღირსეულად დაიცავს თავის მიწა-წყალს.

ქართული ჯარის მშენებლობა კვალიფიციური სამხედრო კადრების გარეშე შეუძლებელია. ახლა სჭირდება საქართველოს თქვენი ცოდნა და გამოცდილება. ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, გარე ძალები შინაური მტრების დახმარებით ცდილობენ დაჩოქონ ჩვენი ერი, შეგვიბილწონ მამა-პაპათა საფლავები, გათელონ ქართველ რაინდთა სისხლით მორწყული მიწა. ასეთ პირობებში ნათელი მაგალითია უკრაინელ და ბელარუს ოფიცერთა მოქმედება, რომლებიც პირველი მოწოდებისთანავე ჩადგნენ თავ-თავიანთი რესპუბლიკების დამცველთა რიგებში.

ბატონო ოფიცრებო! გონს მოდით. მართალია, სისხლში გამჯდარი იდეებისა და პირადი გრძნობების გულიდან ამოგდება არც ისე ადვილია, მაგრამ სამშობლოს სიყვარული უზენაესი გრძნობაა! მრავალმა ქართველმა ოფიცერმა უარი თქვა უცხო არმიაში ფიცის მიღებაზე და სამშობლოში დაბრუნდა.

თქვენ, ქართველნო, და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებო, სამხედრო ოფიცრებო, რომლებსაც გიყვართ დედასაქართველო, ნუ დაელოდებით დიდ პენსიებს, დაბრუნდით სამშობლოში. დავდგეთ ერთად და დავიცვათ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო საქართველო, ვიბრძოლოთ მისი დამოუკიდებლობისთვის და შევინარჩუნოთ მოპოვებული თავისუფლება.

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული!"

დედასამშობლო გეძახით!

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე — შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი

ა. ცქიტიშვილი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

დივერსანტთა გამოხდომებს საყოველთაო სიფხიზლე უნდა დავუპირისპიროთ



31 აგვისტოს გამართული საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომა რიგგარეშე, საგანგებო იყო. გასული დღის ამბების შესახებ დამსწრეთ მოახსენა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. გუშინ, თქვა მან, მძიმე დღე იყო, მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, აფხაზეთში შექმნილი ვითარება, სადაც ჯერ კიდევ ხდება შეტაკებანი, ერთი მხრივ, რესპუბლიკის ეროვნულ ჯარსა და, მეორე მხრივ, აფხაზეთის სეპარატისტთა შეიარაღებულ დაჯგუფებებსა და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ მათ დაქირავებულთა შორის. განსაკუთრებით ფიცხელი ბრძოლები იყო ბზიფის ხეობაში, ქალაქ გაგრის ზონაში, რომელთა შედეგად ბევრია დაღუპული და დაჭრილი. გართულდა ვითარება სოხუმშიც, მის გარეუბნებშიც, საიდანაც მოწინააღმდეგე ცეცხლს უშენდა ქალაქს. ამიტომ საპასუხო ღონისძიებათა განხორციელების საჭიროება დადგა. ქალაქს პური და საწვავი აკლია, მისი წისქვილკომბინატი და ნავთობბაზა კი დაკავებული აქვთ აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებებს. ეს ობიექტები უნდა განთავისუფლდეს, რათა დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ.

ალინიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ენერგიულად მოქმედებენ ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოპარული ტერორისტული ბანდების იზოლირებისთვის.

სამწუხაროდ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ჯერჯერობით ვერ მოქმედებს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს იმიტომ ხდება, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის განსახორციელებლად წინასწარ არ შექმნილა შესაბამისი ბაზა და რეალური საფუძველი. მაგრამ მაინც ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა 3 სექტემბრამდე, როცა უნდა გაიმართოს საქართველოს და რუსეთის ხელმძღვანელთა შეხვედრა, შეიქმნას ისეთი საფუძველი, რომელიც ორივე მხარეს შეასრულებინებს ცეცხლის შეწყვეტის პირობებს. რა თქმა უნდა, ეს იოლი არ არის, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულნი გამოვრიცხოთ საქმიდან, რადგან მათი მოქმედება პრაქტიკულად კონტროლს არ ექვემდებარება. ითქვა, რომ გრძელდება კონტაქტები გუდაუთაში მყოფ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ვ. არძინბასთან.

შემდეგ სხდომაზე გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა, რომელმაც განაცხადა, რომ ყვარლის რაიონში შემჩნეულია დაახლოებით 100-კაციანი შეიარაღებული ჯგუფის გადაადგილება. ეს ადამიანები სულაც არ არიან უცხო მხრისანი, პირიქით, სამწუხაროდ, ისინი ჩვენი თანამემამულეები არიან, იარაღით ხელში მოქმედებენ საქართველოს წინააღმდეგ და ამით ასრულებენ ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელობის ყბადაღებულ ბრძანებულებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ტერორისტული საქმიანობის გაჩაღების შესახებ. ახლა ეს რაზმი ალყაშია და ხორციელდება მისი განიარაღების ღონისძიებანი. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში იგი ლიკვიდირებული იქნება. სხვათა შორის, როგორც ქალაქ თბილისის მერმა ოთარ ლითანიშვილმა განაცხადა, წერეთლის პროსპექტზე ერთ-ერთ შენობაში აღმოაჩინეს ტყვია-წამლის, ასაფეთქებელ ნივთიერებათა, რკინიგზაზე და გვირაბებში ასაფეთქებელ მოწყობილობათა მთელი საწყობი. გასაგებია, რომ ამ მალული არსენალის დანიშნულება სულაც არ არის სამშვიდობო. ქალაქის ხელმძღვანელობის სიფხიზლე რომ არა, ყველაფერი ეს გამოყენებული იქნებოდა მორიგი დივერსიებისა და ტერორისტული აქტებისთვის. სხდომაზე აღინიშნა, რომ ახლანდელ რთულ ვითარებაში ყველგან უნდა მიბაძონ თბილისელთა მაგალითს, რომლებმაც იკისრეს ზრუნვა თავიანთი ქალაქისთვის.

სახელმწიფო საბჭოს წევრებმა მოისმინეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაცია, რომელმაც გააანალიზა ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საერთო სიტუაცია. მან, კერძოდ, თქვა, რომ ამჟამად აფხაზეთში ყველაზე ცხელი წერტილებია ქალაქ გაგრის ზონა, სოხუმის მახლობლად სოფელი ეშერა, სადაც წისქვილკომბინატი და ნავთობბაზაა, ოჩამჩირის რაიონის სოფელი ტამიში, სადაც მოქმედებს ეგრეთ წოდებული აფხაზური გვარდიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფი. სულ კი კონფლიქტის დაწყების დღიდან, თქვა თამაზ ნადარეიშვილმა, ქართველთა მხარის დანაკარგია 100-ზე მეტი მოკლული და 500-ზე მეტი დაჭრილი. უნდა ითქვას, რომ დაპირისპირებული მხარის დაღუპულთა შორის უმრავლესობას შეადგენენ ეგრეთ წოდებული მოხალისენი, რომლებიც აფხაზეთში ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შემოვიდნენ.

გაითვალისწინა რა თამაზ ნადარეიშვილის გამოსვლა, სახელმწიფო საბჭომ ერთხელ კიდევ მოუწოდა აფხაზეთის მთავრობას დაბრუნდეს სოხუმში და მუშაობას შეუდგეს. კვლავ გაისმა მოთხოვნა მოიწვიონ აფხაზეთის პარლამენტის სესია და განიხილონ ავტონომიური რესპუბლიკის ვითარება, მათ შორის ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საკითხი.

სხდომაზე წაიკითხეს თბილისის მორწმუნე ებრაელთა საზოგადოების განცხადება, რომელმაც წამოაყენა წინადადება საქართველოში საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით შექმნან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ფონდი, და ამ ფონდში უკვე შეიტანა 500 ათასი მანეთი.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა და მიიღო საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულების ცვლილებები და დამატებანი. განხილულია სხვა საკითხებიც.

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ ნიკოლაიშვილი.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრის ცნობა

31 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივ წარმომადგენლობაში პრესკონფერენცია გამართეს სოხუმიდან ჩამოსულმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა — ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის" წარმომადგენლებმა ეთერ ასტემიროვამ, ნუგზარ მგალობლიშვილმა, ვახტანგ ყოლბაიამ და ჯემალ გამახარიამ.

დეპუტატებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ აფხაზეთში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. არძინბამ შექმნა ავტორიტარული რეჟიმი, რომ დეპუტატთა აფხაზური ნაწილი ეწეოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რის შედეგადაც დღეს არის დაპირისპირება და იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა.

— მხოლოდ აფხაზური ეროვნების პიროვნებანი არიან სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები, — განაცხადა ნუგზარ მგალობლიშვილმა. — თანამდებობიდან ათავისუფლებენ ქართული ეროვნების პირებს. კადრების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია ნათესაური და კლანური ინტერესები. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დაიქვემდებარა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, აგრეთვე აფხაზეთის შინაგან საქმეთა ჯარი. პარლამენტი წარმოდგენილია კარგად ცნობილი „სოიუზის" ჯგუფის ბლოკით.

— აფხაზეთი შეიძლებოდა გამხდარიყო მაგალითი ყოფილი სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკისათვის, პოლიტიკური გზით ეროვნულ საკითხთა გადაწყვეტისათვის. ქართული ნაწილი დაჰყვა დისკრიმინაციულ კანონს არჩევნების შესახებ. ნუგზარ მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზური ეროვნების მოსახლეობის 17 პროცენტი პარლამენტში წარმოდგენილია 28 დეპუტატით, ქართული მოსახლეობის 46 პროცენტი კი 25 დეპუტატით. მაგრამ ამას არ მოჰყოლია მოსალოდნელი შედეგები.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის" დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მათ არაერთხელ მოითხოვეს არძინბას გადადგომა, როგორც შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, განხეთქილება აფხაზეთის პარლამენტში შეუქცევადი გახდება. ამავე დროს, დეპუტატები იმედს ამყარებენ იმაზე, რომ შეიძლება კონსტრუქციული დიალოგი პარლამენტის აფხაზურ ნაწილთან.

დეპუტატებმა უპასუხეს კითხვებზე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანის გარემოებების, ორი მხარის დაპირისპირებისა და კონფლიქტის შესაძლო გადაწყვეტის შესახებ.

დეპუტატებმა წამოაყენეს წინადადება, შემდეგი პრესკონფერენცია გაიმართოს აფხაზურ მხარესთან ერთად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და პარტიული სიების წარდგენისა და მათი რეგისტრაციის ვადების გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულებაში“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 4 აგვისტო) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) 1-ლი მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი აირჩევა 3 წლის ვადით. 150 დეპუტატი აირჩევა პარტიული სიებით მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე; 84 დეპუტატი აირჩევა ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო ერთი დეპუტატი — პარლამენტის თავმჯდომარე — აირჩევა სრულიად საქართველოს მიერ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით“.

2) დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 1^1:

„მუხლი 1^1. პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე აირჩევა პარლამენტთან ერთად 3 წლის ვადით. პარლამენტის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთაგან არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმებს მიიღებს, ოღონდ არანაკლებ ხმის მიცემის მონაწილეთა ერთი მესამედისა.

იმ შემთხვევაში, თუ ორი ან სამი კანდიდატი ხმათა ტოლ რაოდენობას მიიღებს, ოღონდ არანაკლებ ხმის მიცემის მონაწილეთა ერთი მესამედისა, თითოეული მათგანი ჩაითვლება პარლამენტის წევრად და პარლამენტის თავმჯდომარე მათგან აირჩევა პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. თუ ამ დროს ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა ნახევარზე მეტი, ჩატარდება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ, როგორც ამ კანდიდატებმა, ასევე პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ერთი მეხუთედის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა (ახალი კანდიდატების წარდგენისას პარლამენტის ერთმა წევრმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენაში). თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა ნახევარზე მეტი, ჩატარდება მესამე ტური, რომელშიც უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატებმა და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმებს მიიღებს. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ აირჩა პარლამენტის თავმჯდომარე, კენჭისყრა გაგრძელდება, სანამ რომელიმე კანდიდატი სხვებზე მეტ ხმებს არ მიიღებს.

იმ შემთხვევაში, თუ, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმის მიცემის მონაწილეთა ერთი მესამედის ტოლი ან უფრო მეტი ხმა, პარლამენტის ერთი წევრის ადგილი უქმდება და პარლამენტის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით პარლამენტის წევრთაგან პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ერთი მეხუთედისაგან შემდგარ ჯგუფს. თუ პირველ ტურში თავმჯდომარე ვერ აირჩა, ჩატარდება მეორე ტური; თუ მეორე ტურშიც ვერ აირჩა თავმჯდომარე, არჩევნები გაგრძელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით.

პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

პარლამენტის შემადგენლობიდან სრულიად საქართველოს მიერ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარის გამოკლების შემთხვევაში, პარლამენტის წევრის შესაბამისი ადგილი უქმდება.

პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის, უფლებამოსილების შეწყვეტის ან პარლამენტის შემადგენლობიდან გამოკლების შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარე აირჩევა პარლამენტის მიერ თავის წევრთაგან ფარული კენჭისყრით, პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

3) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა დასახელების უფლება,

პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობების შესაბამისად ლეგალიზებულ ან რეგისტრირებულ პარტიებს საარჩევნო რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მათ გაერთიანებებს — საარჩევნო ბლოკებს და ამომრჩეველთა ჯგუფებს, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა დასახელებისა — ამომრჩეველთა ჯგუფებს“.

4) 22-ე მუხლის მე-8, მე-17 და მე-19 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიებს საარჩევნო ოლქების მიხედვით, საკომპენსაციო სიებს, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებს; აძლევს სათანადო მოწმობებს პარლამენტის თავმჯდომარეობისა და დეპუტატობის კანდიდატებს;

17) ადგენს არჩევნების შედეგებს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგებს, აჯამებს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს; არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 20 დღისა, პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში არჩეული დეპუტატების სიას; რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ დეპუტატებს და პარლამენტის თავმჯდომარეს და აძლევს მათ სამანდატო მოწმობებს;

19) გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამანდატო კომისიას დეპუტატთა და პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას“;

5). ა) 30-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და ადგილობრივი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ოდენობას (პარტიისა და ბლოკისთვის დადგენილი თანხის ოდენობა ტოლია მათ მიერ დასახელებული კანდიდატების რაოდენობის ნამრავლისა ადგილობრივი კანდიდატისათვის დადგენილი თანხის ოდენობაზე). საარჩევნო ფონდს, განაგებს მისი გამგეობა ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც ნიშნავს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირი, საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების ხელმძღვანელი პირნი, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი, დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატი. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენების სისწორისათვის.

საარჩევნო ფონდისათვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის, ადგილობრივი კანდიდატის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკებში (მათ შესაბამის განყოფილებებში) ცენტრალურ (საოლქო) საარჩევნო კომისიაში მათი რეგისტრირების შემდეგ“.

ბ) მე-7 ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარლამენტის არჩევნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა, წყდება ყოველგვარი ანგარიშსწორება საარჩევნო ფონდებიდან და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატისა და ადგილობრივი კანდიდატის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე“.

გ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები, პარლამენტის წევრებად არჩეული თავმჯდომარეობის კანდიდატები და პარლამენტის წევრებად არჩეული ადგილობრივი კანდიდატები აქვეყნებენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებისა და ადგილობრივი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები, ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისას — ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელისას — პარლამენტი“.

დ) მე-9 ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა ნუსხასაც დაადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებისა და დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში“.

6). დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 37^1:

„მუხლი 37^1. პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა.

პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ამომრჩეველთა სულ ცოტა ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს. ყოველ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, წარადგინოს ერთი კანდიდატი, თუ მას მხარს უჭერს არანაკლებ 5000 ამომრჩევლისა.

პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის მიზნით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-6 კვირის შაბათისა განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საინიციატივო ჯგუფის წევრთა ვინაობა და მისამართი, აგრეთვე თავმჯდომარეობის კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და საქმიანობა. განცხადებას უნდა ერთვოდეს კანდიდატის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად), რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად, მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა, კენჭი იყაროს როგორც ამომრჩეველთა მოცემული ჯგუფის კანდიდატმა (სააღრიცხვო ბარათებს კანდიდატის წარდგენის მსურველებს წინასწარ გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისია).

საბუთების მიღებისთანავე მის წარმდგენს ეძლევა ცნობა, საბუთების მიღების შესახებ და ხელმოწერათა ბლანკები.

ხელმოწერათა შევსებული და გადანომრილი ბლანკები ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადებასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ხელმოწერების ბლანკებისა და ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა, არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-5 კვირის შაბათისა უნდა წარუდგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატი; იგი არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრი“.

7). ა) 39-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 39. დეპუტატობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატების მხარდამჭერთა სიები და მათი შემოწმება“.

ბ) დაემატოს ნაწილი 1^1:

„პარლამენტის თავმჯდომარედ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის მხარდაჭერა ამომრჩევლებმა ხელმოწერების ბლანკზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ“.

გ) დაემატოს ნაწილი 2^1:

„პარლამენტის თავმჯდომარედ წარდგენილი კანდიდატების მხარდამჭერთა ხელმოწერების შემოწმება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-4 კვირის შაბათისა. ხელმოწერათა შემოწმების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. თუ შემოწმების შედეგად, მხარდამჭერთა სიაში ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა ხუთი ათასზე ნაკლები აღმოჩნდა, კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება“.

8). ა) მე-40 მუხლის სათაური და პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. პარტიული სიების, დეპუტატობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა რეგისტრაცია:

პარტიულ სიას და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ადგილობრივ კანდიდატს — შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს რეგისტრაციის ოქმებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პარტიული სიებისა და დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე მე-6 კვირის სამშაბათს და მთავრდება შაბათს, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა რეგისტრაცია ტარდება არჩევნებამდე მე-3 კვირის ორშაბათს.

პარტიული სიების, დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა რეგისტრაციის საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილია ამ დებულების 37-ე — 39-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი“.

ბ) მე-6 ნაწილის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში დეპუტატობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებად წარდგენილ პირებს, პარტიული სიის წარმდგენი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რწმუნებულს (შემდეგ, როგორც ტექსტშია).

გ) მე-7 ნაწილის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რეგისტრირებული პარტიული სიები და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა გვარები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რესპუბლიკურ პრესაში (შემდეგ როგორც ტექსტშია).

დ) ამავე ნაწილის მე-2 წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტიული სიების რიგითობას და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა რიგით ნომრებს რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ კენჭისყრით ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. ერთი და იმავე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) პარტიულ სიას ყველა ოლქში ერთი და იგივე ადგილი ენიჭება; თუ რომელიმე ოლქში პარტიული სია არაა წარდგენილი, იგი საარჩევნო ბიულეტენში არ შეიტანება, ხოლო ადგილობრივი კანდიდატებისას — შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია“.

9). ა) 41-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 41. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატად და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. დეპუტატობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა“.

ბ) დაემატოს ნაწილი 1^1: პარლამენტის თავმჯდომარედ წარდგენილ პირს უფლება აქვს, კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას“.

10). ა) 42-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებისთვის მზადდება სამი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი:“

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ პუნქტი:

„გ) მესამე ბიულეტენში შეაქვთ პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა იგივე მონაცემები, რომლებიც ამავე მუხლის „ბ“ პუნქტშია ჩამოთვლილი“.

11). ა) 43-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 43. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებისა და ადგილობრივი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები“.

ბ) პირველი ნაწილის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს გამოვიდეს თავისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის), პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატსა და ადგილობრივ კანდიდატს კი — თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. პარტიის (საარჩევნო ბლოკის), პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის, ადგილობრივი კანდიდატის პროგრამა“ (შემდეგ როგორც ტექსტშია);

გ) მე-2 ნაწილის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცენტრალური საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში“, (შემდეგ, როგორც ტექსტშია);

დ) მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი წინადადება:

„პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებმა აღნიშნული მასალები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-3 კვირის სამშაბათისა“.

12). ა) 44-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებული, პარლამენტის თავმჯდომარეობისა და დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი“:

ბ) მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლიოს არა უმეტეს ათი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატს — ყოველ საარჩევნო ოლქში თითო ნდობით აღჭურვილი პირისა, რომლებიც წარმართავენ მათ წინასაარჩევნო კამპანიას შესაბამის საარჩევნო ოლქში, წარმოადგენენ ამ კანდიდატებს საარჩევნო ურთიერთობაში.

დეპუტატობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატები ნიშნავენ ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევენ მათ შესაბამისი საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ მოწმობებს“.

გ) მე-4 და მე-5 ნაწილებში სიტყვები „დეპუტატობის კანდიდატი“ შეიცვალოს სიტყვებით „დეპუტატობის კანდიდატი, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი“.

13). 45-ე და 47-ე მუხლებში სიტყვები „დეპუტატობის კანდიდატი“ შეიცვალოს სიტყვებით „დეპუტატობის კანდიდატი, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი“.

14) 48-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი წინადადება:

„იგივე უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატს, რისთვისაც შესაბამის გაზეთს მასალა უნდა მიაწოდოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა“.

15) 50-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „დეპუტატობის კანდიდატი“ შეიცვალოს სიტყვებით „პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი, დეპუტატობის კანდიდატი“.

16) 51-ე მუხლს დაემატოს ნაწილი 3:

„მესამე ბიულეტენში, რომელშიც პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებია შეტანილი, ამომრჩეველი შემოხაზავს იმ კანდიდატის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენ კანდიდატთა გვარებს კი გადახაზავს“.

17). ა) 52-ე მუხლს დაემატოს 6^1 პუნქტი:

„6^1) პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატისათვის მიცემული ხმა ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა“;

ბ) მე-7 პუნქტში სიტყვები „დეპუტატობის კანდიდატის“ შეიცვალოს სიტყვებით „დეპუტატობის კანდიდატის (პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის)“;

გ) მე-9 პუნქტის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, აფორმებს სამ ოქმს, რომელთაგან ერთში აღნიშნული უნდა იყოს ყოველი ადგილობრივი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მეორეში — პარლამენტის თავმჯდომარეობის ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, ხოლო მესამეში — ყოველი პარტიის“ (შემდეგ, როგორც ტექსტშია).

18) 53-ე მუხლის ბოლო ნაწილის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საუბნო საარჩევნო კომისიების ის ოქმები, რომლებშიც შეჯამებულია პარტიული სიებით ჩატარებული არჩევნებისა და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები, დაუყოვნებლივ“ (შემდეგ, როგორც ტექსტშია).

19) 54-ე მუხლის ბოლოდან მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი წინადადება:

„აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები“.

20) 56-ე მუხლში სიტყვა „დეპუტატთა“ შეიცვალოს სიტყვებით „დეპუტატთა და პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეული პირის“, სიტყვა „დეპუტატებს“ — სიტყვებით „დეპუტატებს და პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ პირს“, ხოლო სიტყვა „წევრად — სიტყვებით „წევრად და პარლამენტის თავმჯდომარედ“.

2. ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

3. აღნიშნული ცვლილებების გამო, მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პარტიული სიების წარდგენისა და წარდგენილ სიებში ცვლილებების შეტანის ვადა გაგრძელდეს 3 სექტემბრის 18 საათამდე, ხოლო მათი რეგისტრაციის ვადა— 7 სექტემბრის 24 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ე. ხოზუაძე.

თბილისი, 1992 წლის 31 აგვისტო.

ყველას თავისი აზრი აქვს

საქართველო ნატოში უნდა შევიდეს

ირაკლი წერეთელი,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე,

ჯერ კიდევ თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე, როდესაც ის-ის იყო ყალიბდებოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ჩვენმა ორგანიზაციამ ხმამაღლა თქვა, რომ დამოუკიდებელი საქართველო სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის სტატუსით უნდა გაწევრიანდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. კარგად მახსოვს, ჩვენი ეს დევიზი ახლად ამოძრავებულ, მაგრამ ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოსაგან მომდინარე საყოველთაო შიშის ტყვეობაში მყოფ ქართულ საზოგადოებაში ბომბის გასკდომასავით გაისმა. საქართველოს ნატოში გაწევრიანების იდეა იმთავითვე დაფიქსირდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პროგრამაში ერთ-ერთ დებულებად, როგორც პარტიის სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინის გამომხატველი უნივერსალური პრინციპთაგანი და, რამდენადაც ვიცი, სამწუხაროდ, დღემდე ერთადერთ პარტიად ვრჩებით, რომელსაც საარჩევნო პროგრამაში აქვს შეტანილი ამ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში საქართველოს გაერთიანების იდეა.

როდესაც ჩვენ ამ საკითხზე ლაპარაკი დავიწყეთ, მაშინ საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო, საბჭოთა სახელმწიფოში ჯერ კიდევ ერთპარტიული კომუნისტური სისტემა ბატონობდა, საკმაოდ მძლავრად ფუნქციონირებდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია და არც აღმოსავლეთ ევროპის დეოკუპაციაზე იძროდა სიტყვა საერთაშორისო სარბიელზე. ალბათ, ამან განაპირობა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი და, მათ შორის ეროვნულ-პოლიტიკური ძალებიც, გაუგებრობითა და უნდობლობით შეხვდნენ ამ იდეას. ზოგმა ისე გაიგო, თითქოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების გარღვევით ამხედრებული უნდა შემოსძღოლოდა საქართველოში ნატოს ჯარებს. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პროკურორმა კატუსევმა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე გამოსვლაში იმით გაამართლა სამხედროების მიერ აპრილის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა, რომ „იმ დღეებში დემონსტრაციებზე მე საქართველოს ნატოში გაწევრიანების ლოზუნგით გამოვდიოდი. რა თქმა უნდა, ყველა სერიოზულ კაცს კარგად ესმოდა, რომ, როდესაც საქართველოსა და ნატოს ურთიერთობებზე ვლაპარაკობდით, ვგულისხმობდით მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს გაწევრიანებას ნატოში, რადგან, ბუნებრივია, დამოუკიდებელ და სსრ კავშირში შემავალ საბჭოთა საქართველოს ნატოში ვერ მიიღებდნენ. ამდენად, ჩვენი პარტიისთვის საქართველოს ნატოში გაწევრიანება იმხანად იყო სამომავლო სტრატეგიული ამოცანა და ნათელი მომავლის მოახლოების ერთ-ერთი მძაფრი სურვილი.

ამ საკითხებში ბევრი გვეკამათებოდა, გვეუბნებოდნენ, როდესაც საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება დაიშლება, ნატო აღარ იქნებაო. მაგრამ როგორც დრომ დაგვარწმუნა, ჩვენი ოპონენტები შეცდნენ. ვარშავის ხელშეკრულება თავის შემქმნელ საბჭოთა კავშირიანად ისტორიას ჩაბარდა, ნატო კი არამც თუ არ დაშლილა, პირიქით, დღეს სერიოზულად ლაპარაკობენ მისი ფუნქციებისა და შემადგენლობის გაფართოებაზე. ასე რომ, ნატოსავით უცვლელი და მართალი დარჩა ჩვენი იდეა საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ.

დღეს საქართველო იურიდიული თვალსაზრისით სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მისი დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნეს მსოფლიოს უმეტესმა ქვეყნებმა და უნივერსალურმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრი. ეს გარემოება იმის რეალურ შანსს გვაძლევს, რომ საქართველო რაც შეიძლება მალე გახდეს ნატოს წევრი.

ჩვენი ქვეყნისთვის საარსებოდ აუცილებელია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ქართველი ერის კეთილდღეობა დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დროულად გაწევრიანდება საქართველო ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. მცირერიცხოვან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ერს, ეკონომიკურად დაუძლურებულს, უთუოდ სჭირდება ძლიერი სტრატეგიული მოკავშირე. საქართველოს არც ერთი მოსაზღვრე ქვეყანა, გარდა თურქეთისა, სამწუხაროდ, სტრატეგიულ მოკავშირედ არ გამოადგება. არ გამოადგება მით უმეტეს რუსეთი. უმოკავშიროდ კი დღეს ძალიან გაგვიჭირდება, ხოლო მოკავშირეები უნდა ვეძებოთ ევროატლანტიკურ სივრცეში დასავლეთის მძლავრ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, რომელთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი სწორედ ნატოა, რომელში გაწევრიანება საქართველოს სამუდამოდ მოუხსნის გარეშე სამხედრო აგრესიის საშიშროებას. ნატოში შესვლით საქართველო სისხლხორცეულად დაუკავშირდება ევროატლანტიკურ სივრცეში გაფენილ დასავლეთის მძლავრ სახელმწიფოთა უდიდეს თანამედროვე ცივილიზაციას, რაც უაღრესად დადებით გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ განვითარებაზე. ასე რომ, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანება მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საერთო-ეროვნული უშიშროების დაცვისა და, ამასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაძლიერების ყველაზე უტყუარი და ერთადერთი რეალური გარანტია.

დღეს საქართველო იომს. იგი თავის თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას იცავს. იღვრება სისხლი, იღუპებიან ადამიანები. დაღუპულთა რიცხვმა ასს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღითი დღე მატულობს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოხვეწილ შეიარაღებულ გადამთიელთა რიცხვი, რეალური ხდება მოსალოდნელი სისხლისღვრის შემზარავი პერსპექტივები.

დარწმუნებული ვარ, რომ ვიდრე რუსეთი ჩვენი ეროვნული შეიარაღებული ძალებისთვის იარაღის ერთადერთ მიმწოდებლად რჩება, საქართველოს გაუჭირდება ნებისმიერი ომის მოგება. ამიტომ, ჩემი აზრით, საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ მხრივ ენერგიულად უნდა იმოქმედოს. გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მხედველობაში მაქვს გიორგი ქანტურიასა და მამუკა გიორგაძის ყოფნა ნატოს გენერალურ სამდივნოში, მაგრამ ეს არ კმარა. დროა საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელმა ხელისუფლებამ ოფიციალურ დონეზე დასვას საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი და უახლოესი მომავლისთვის საქართველოში მოიწვიოს ამ ორგანიზაციის ექსპერტები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნატო სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა და ამიტომ მასში გაწევრიანების ინიციატივა საქართველოს მთავრობამ და ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინონ.

ჩვენმა პარტიამ ოფიციალურად მიმართა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ამ საკითხთან დაკავშირებით, და ვიმედოვნებთ, ისინი გაგებით მოეკიდებიან ამ პრობლემას. ჩვენ კი ჩვენი მხრივ, როგორც გარკვეული პოლიტიკური ძალა, შეძლებისდაგვარად განვაგრძობთ ჩვენს თანამიმდევრულ და გამიზნულ ბრძოლას იმისთვის, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის სტატუსით გაწევრიანდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში.

ჰონორარი გადაირიცხოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფონდში.

თბილისის უნივერსიტეტში

თუ გაჭირდა, სიცოცხლის ფასადაც დავიცავთ!..

31 აგვისტოს გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი განცხადება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდად აღაშფოთა ჩვენი ქვეყნის მტრების მოქმედებამ, რომელთაც ფაქტობრივად ომი გამოუცხადეს საქართველოს, ჩვენს რესპუბლიკაში ტერორისტულ და დივერსიულ საქმიანობას ეწევიან, თბილისი უდიერების ქალაქად გამოაცხადეს და ცდილობენ დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ამ უპრეცედენტო საქციელს არ ეძებნება სამართლის, ზნეობისა და ადამიანურობის არავითარი ნორმებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გმობს და ებრძვის ყოველგვარ ექსტრემიზმსა და სეპარატიზმს, შეიარაღებულ პროვოკაციებს, და საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი იყო, არის და იქნება ერის ყოველგვარ სამსახურში.

საქართველოსათვის ამ მძიმე დღეებში ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ვიქნებით ბრძოლის მოწინავე ხაზზე, და თუ საჭირო გახდა, სიცოცხლის ფასად დავიცავთ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებასა და თავისუფლებას, ერთიანობასა და განუყოფლობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი იწონებს კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური დიალოგით მოწესრიგების გზებს, მაგრამ თუ მტერი მაინც არ დაიშლის თავისას — დადგება იქ, სადაც სამშობლოს მომავლის საკითხი წყდება.

• • •

რექტორატის სხდომის დამთავრებისთანავე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტმა ვილენ მარდალეიშვილმა სთხოვა უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ რომან მეტრეველს კომენტარი გაეკეთებინა განცხადებისთვის.

მან თქვა: უნივერსიტეტში შეიქმნა საგანგებო მოქმედების შტაბი, რომელიც კოორდინაციას უწევს ჩვენი თანამშრომლებისა და სტუდენტთა ინიციატივას — კონკრეტული დახმარება გაუწიონ ომში წასულ მებრძოლებს. თანამშრომლები განცხადებებით მოგვმართავენ — თავიანთი კუთვნილი ხელფასიდან გარკვეული თანხა გადარიცხონ აფხაზეთში მებრძოლი ქართველი მეომრების ფონდში.

თანამშრომლები და სტუდენტები სურვილს გამოთქვამენ მონაწილეობა მიიღონ სამშობლოს დასაცავად. ახლა მიმდინარეობს მსურველთა სარეზერვო ჯგუფების შედგენა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მზად იქნებიან.

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ჯემალ ფრიდონის ძე მიქელაძე დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ და მიანიჭა მას სპეციალური წოდება „პოლიციის გენერალ-მაიორი“.

ხელმოცარულთა სერობა

როგორც უკვე ცნობილია, ყვარლის სიახლოვეს ამ რამდენიმე დღის წინ შეამჩნიეს შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფი, რომლის უვნებელყოფის ოპერაციებს ხელმძღვანელობენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე. როგორც ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსთან დიმიტრი იოსებაშვილთან საუბრისას გაირკვა, დაახლოებით ორი კვირის წინ ახალსოფლის თავში ადგილობრივი მწყემსი მოწმე გახდა, თუ როგორ გადმოტვირთეს ვერტმფრენიდან დიდძალი ავტომატური იარაღი, ტყვიამფრქვევები, ყუმბარსატყორცნები, ვაზნები. აქვე შეიმჩნეოდა უცხო ხალხის სიმრავლე. როგორც ირკვევა, თბილისიდან, ასევე სხვადასხვა რაიონებიდან ექსპრეზიდენტის მომხრენი თავს იყრიდნენ დათქმულ ადგილზე. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ აქციის აქტიური მონაწილენი არიან ყვარლის რაიონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე გივი იორამაშვილი, მისი თანამზრახველები — ნუკრი იორამაშვილი და ომარ ლვინიაშვილი. რაზმის ხელმძღვანელი კი — ვინმე „გამა“. უკვე დაპატიმრებულია ჯგუფის რამდენიმე წევრი, თბილისელები: ვახტანგ გოგსაძე, ზურაბ ხიდაშელი, სახლთუხუციშვილი. როგორც შტაბში გვითხრეს, არსებობს საიმისო ძალები და საშუალება, რომ ჯგუფის უვნებელყოფა რამდენიმე საათში დასრულდეს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაიღვაროს. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეთა ავანტიურის მონაწილენი სათანადოდ არ დაისჯებიან.

ზურაბ არსენიშვილი,
„სრ“ საკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი უნდა იცნობდეს

რუბრიკას უძღვება ჟურნალისტი მაია ალუდაური

საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია

სარეგისტრაციო მოწმობა № 0013

მცირეოდენი წიაღსვლა არცთუ შორეულ წარსულში: სამ ათეულ წელზე ცოტა მეტი ხნის წინანდელ თბილისში, უფრო ზუსტად, 1956 წელს, იქმნება 33 კაცისაგან შემდგარი პატრიოტთა ჯგუფი სახელწოდებით „საქართველოს ახალგაზრდა გვარდია“ (საგ.). საქართველოს შველა — მარტივად და უბრალოდ, სულ ორი სიტყვით ასე შეიძლება გამოითქვას ამ გაერთიანების მიზანი. ახალგაზრდობის ამ „გულუბრყვილო“ წამოწყებას დაუყოვნებლივ მოჰყვა სათანადო რეაქცია ხელისუფალთა მხრიდან. უკვე აგვისტოში ჯგუფი რეპრესირებულ იქნა, თუმცა, ამის მიუხედავად, არსებობა არ შეუწყვეტია. ბიბლიოთეკებთან შექმნილი ლიტერატურული სალონების, უნივერსიტეტში მოქმედი ფარული ჯგუფების, ახალგაზრდულ კლუბ „ამირანის“ სახით იგი განაგრძობდა არსებობას, გამოსცემდა ჟურნალს „სამება“, ერთი სიტყვით, რაც შეეძლო, აკეთებდა. ამ ამბებს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ყორღანაშვილი მიყვება. როდესაც ვეკითხები, ვინ იყვნენ ეს „თავზეხელაღებული“ ენთუზიასტები, მითვლის: ირაკლი შენგელაია, ავთო იმნაძე, ზურაბ მურვანიძე, ნემო ბურჭულაძე (არ უკარგავს ძველ დამსახურებას), სხვები... ზურაბ მურვანიძე რომ არ ჩართულიყო საუბარში, ვერც მე და ვერც მკითხველი ვერ გავიგებდით, რომ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი თავად ბატონი გიორგი ყოფილა.

ჯგუფის შემდგომი ბედი ასე წარიმართა: 80-იან წლებში იგი საქართველოს ეროვნული არმიის სახელწოდებით არსებობდა, 1989 წლის 30 სექტემბერს კი საბოლოოდ პოლიტიკური პარტიის სახე მიიღო. ამ დღიდან, პარტია მონაწილეობს თითქმის ყველა ღონისძიებაში, რომელიც მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

მცირე ხნით გადავუხვევ მოვლენათა თანამიმდევრობას. ზურაბ მურვანიძე ღიმილით იხსენებს ასეთ ფაქტს წარსულიდან: 1978 წლის 19 აპრილს პატრიოტთა ჯგუფს წერილი გაუგზავნია მაშინდელი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნისათვის, ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის და 1990-91 წლებში საბჭოთა იმპერიის დანგრევა უწინასწარმეტყველებია. რა გზას დავადგეთ ასეთ შემთხვევაშიო, თურმე, ეკითხებოდნენ. მაშინ ძალიან გაჰკვირვებია, ამ „მავნე“ პროგნოზისათვის რომ არ დაიჭირეს. ახლა, ბუნებრივია, აღარ უკვირთ, ყველაფერი გასაგებიაო, ამბობენ...

დავუბრუნდეთ მოვლენათა მსვლელობას...

— 1990 წლის აგვისტოში გავმართეთ მიტინგი და მსვლელობა უზენაესი საბჭოსა და ცეკას შენობებისაკენ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ, — ამბობს გ. ყორღანაშვილი, — დეპეშით მივთხოვეთ ბორის ელცინს, ეღიარებინა 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია. გამუდმებით ვარწმუნებდით ხელისუფლებას, გამოეცხადებინა საქართველო კოლონიურ ქვეყნად, რასაც არც ერთი სხვა ქვეყნის დასტური არ სჭირდებოდა. იმავეს ვთხოვდით მომდევნო ხელისუფლებას, თანამშრომლობასაც ვცდილობდით, მაგრამ — უშედეგოდ...

ფაქტისა და ფორმის ერთიანობა — ასეთია პარტიის დევიზი. ეს ნიშნავს, რომ ცხოვრება ასახული უნდა იყოს კანონში და კანონი არ უნდა გაურბოდეს ცხოვრებას, ანუ უფრო მარტივად, ყველაფერში კანონის სრული უზენაესობა უნდა იყოს დამკვიდრებული. ამასვე გულისხმობს პარტიის სახელწოდებაც. — კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ანუ ძირითად კანონზე დამყარებული ხალხის მმართველობა, რომლის დროსაც დაცული იქნება ყველა ადამიანის უფლება ეროვნების, სქესის, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად.

უმთავრესი, რაზეც გადატანილია პარტიის თითქმის მთელი ყურადღება ამ ბოლო დროს, ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის, კერძოდ, პრივატიზების პროგრამაა. ამ საკითხში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისი მნიშვნელოვნად განსხვავდება პრივატიზების ჩვენში მიღებული და გატარებული კანონპროექტისაგან. ამიტომ, ყველაფერს, რასაც ამის თაობაზე ამბობს პარტიის თავმჯდომარე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ზოგიერთისათვის მიუღებელი და გამაღიზიანებელიც აღმოჩნდეს, პარტიის პოზიციის შეძლებისდაგვარად სრულად წარმოჩენისათვის ზედმიწევნით, შეუფერადებელ-შეურბილებლად გთავაზობთ.

— დღევანდელ ხელისუფლებაში ვოლუნტარისტულად თავმოყრილმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს საქართველოში პრივატიზების განხორციელება, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბაზრო რელსებზე გადაყვანა. ეს საქმე დაევალათ სოციალისტურ ეკონომიკაში გამობრძმედილ მეცნიერებსა და მოღვაწეებს. ლოგიკურმა შედეგმაც არ დააყოვნა. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა წარმოადგინა პრივატიზების რუსული პროექტიდან გადმოწერილი ვითომდა საკუთარი ვარიანტი, მაქსიმალური კონფიდენციალობის დაცვით დაამტკიცებინა დროებით მთავრობას და მოაწონებინა სახელმწიფო საბჭოს. ჩვენ შემუშავებული გვქონდა პრივატიზების ალტერნატიული ვარიანტი სერტიფიკატების გამოყენებით, რომელიც სამი თვის განმავლობაში ელოდა განხილვას სახელმწიფო საბჭოს ეკონომიკურ კომისიასა და სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტში. ამ კომიტეტს კანონპროექტის შემუშავებისას არ გაუთვალისწინებია არც ერთი ჩვენს მიერ შეთავაზებული წინადადება, და, საერთოდ, ვიდრე რუსეთმა არ მიიღო გადაწყვეტილება, პრივატიზების პროცესში ვაუჩერების გამოყენების შესახებ, კომიტეტი სერტიფიკატის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ კი, სასწრაფოდ შეიტანეს თავიანთ პროგრამაში მსგავსი რამ, ოღონდ სრულიად დაუმუშავებლად და მოუმზადებლად. საქმე ის არის, რომ პრივატიზების საქმეში სერტიფიკატების ნაწილობრივ გამოყენება დამღუპველია. რატომ — ამის ახსნას ახლა არ დავიწყებ. ისლა დაგვრჩენია, მოვუწოდოთ საქართველოს მოსახლეობას, რომ 11 ოქტომბრამდე, ანუ ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევამდე, თავი შეიკავონ პრივატიზების საქმეში ამ პროგრამის მიხედვით ყოველგვარი გარიგებისაგან, რადგან ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში, ყველა ეს გარიგება ბათილად ჩაითვლება. ჩვენ პრივატიზებას მხოლოდ და მხოლოდ სერტიფიკატით განვახორციელებთ. ეს ეკონომიკურადაც უფრო ეფექტიანი იქნება და ეთიკურადაც — სამართლიანი. სხვაგვარად ჩვენი ქვეყნის მთელი სიმდიდრე ყაჩაღ მილიონერებს ჩაუვარდებათ ხელში და მოსახლეობის მეორე დიდი ნაწილი ფიწლებითა და ნაჯახებით აღდგება მათს წინააღმდეგ. დაახლოებით ერთი თვეა, რაც შეიქმნა სრული სერტიფიკატული პრივატიზების მხარდამჭერი მოძრაობა, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამ საქმეს მოსახლეობის პრაქტიკულად აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ნაწილი აქტიურობს. ღმერთმა ნუ ქნას, არჩევნებამდე მართლა რამე გაიყიდოს ოფიციალურად. ეს მართლა მძიმე მდგომარეობას შექმნის. ამიტომ, გვჭირდება ხალხის მაქსიმალურად აქტიური მხარდაჭერა — ეს ისევ ხალხის სასიკეთო საქმეს წაადგება.

რაც შეეხება არჩევნებს, ჩვენ ვაპირებდით მათში ჩვენი მონაწილეობის აღნიშვნას და ჩვენს თანამოაზრეებს მოვუწოდებდით, მხარი დაეჭირათ დეპუტატობის იმ კანდიდატებისათვის, რომლებიც გაატარებდნენ ზემოაღნიშნული პროგრამის ელემენტებს: მაგრამ 15 აგვისტოს, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, გამართული კენჭისყრის შედეგებმა დაგვანახა, რომ საკუთარი თავის, საკუთარი პარტიის გარდა, არავის ნდობა აღარ შეიძლება. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, არც ერთი „საქორწილო გენერალი“ არ დაგვეყენებინა კანდიდატთა ნუსხაში — არც პოეტი, არც რეჟისორი, არც მწერალი... მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საქმის გულშემატკივარნი, პროფესიონალები, ამ საქმისათვის გულწრფელად მებრძოლი ადამიანები. არც ერთ საარჩევნო ბლოკში არ შევსულვართ, ამომრჩეველთა წინაშე დამოუკიდებლად წარვსდგებით.



სურათზე: საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ყორღანაშვილი.

შაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი, რომელიც შეეხო აფხაზეთის ამბებს. ჩანს, ცალსახა შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამ გამოსვლას მსმენელებზე. ამას ადასტურებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში შემოსული წერილები, რომელთაგან ორს — ა. თოთაძისას და რ. სურგულაძისას ქვემოთ ვაქვეყნებთ.

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის ერთი სატელევიზიო გამოსვლის გამო

საზრისი

ანზორ თოთაძე

რა დავარქვათ ამას?

29 აგვისტოს ბატონმა აკაკი ასათიანმა მთელ საქართველოს, და, ალბათ, არა მარტო საქართველოს, ტელევიზიით ამცნო, რომ ქართველებმა არ უნდა დავთრგუნოთ აფხაზები, საჭიროა აფხაზების მიმართ თუნდაც დათმობა და არ უნდა მივმართოთ უკიდურეს, ძალისმიერ პოზიციას ჩვენზე მცირერიცხოვან ხალხზეო. ასეთ უაპელაციო განცხადებას, და ისიც ქართველის მიერ გაკეთებულს, არ შეიძლება აღშფოთება და უდიდესი გულისწყრომა არ გამოეწვია.

ჩვენ არ ვიცით, რას ეძახის დათრგუნვას ბატონი აკაკი ასათიანი; მაგრამ ყოველმა ქართველმა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა მცხოვრებმა და ამ საკითხით დაინტერესებულმა არაქართველმაც კარგად იცის, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში არც ერთი ერი და ეროვნება არ ყოფილა ისეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, როგორც აფხაზები.

რამდენადაც ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, ამის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტიც მოვიტანოთ. ცნობილია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ერთადერთი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, რომლის კონსტიტუციაშიც ფიგურირებდა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. არც ერთ ქართველს ამის საწინააღმდეგოდ არაფერი უთქვამს.

მეორე, ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი ის გახლავთ, რომ ბევრად მეტი დასახელების აფხაზური მხატვრული ლიტერატურა გამოიცემა, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა რომელიმე ეროვნების მხატვრული ლიტერატურა. მაგალითად, ყოველ 10 ათას აფხაზზე 1988 წელს 15-ჯერ მეტი დასახელების მხატვრული ლიტერატურა გამოიცა, ვიდრე რუსული ლიტერატურა, 21,5-ჯერ მეტი, ვიდრე უკრაინული და ა. შ. და ეს მარტო 1988 წელს როდი შეეხება. მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე ამ მხრივ აფხაზური მხატვრული ლიტერატურა საკმაოდ დიდი ტირაჟით გამოდის. კერძოდ, 1988 წელს ყოველ 19 ათას აფხაზზე 40 ათასი ეგზემპლარი აფხაზური მხატვრული ლიტერატურა მოდიოდა, მაშინ როდესაც ყოველ 10 ათას ქართველზე ამავე წელს მხოლოდ 28 ათასი ეგზემპლარი ქართული მხატვრული ლიტერატურა გამოიცა.

არ ვიცი, შემდეგი ფაქტი რაიმეს ეტყვის თუ არა ბატონ აკაკი ასათიანს, ჩვენ კი ესეც მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია. კერძოდ, აფხაზი მოსახლეობა სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებშია დასაქმებული, სადაც, ცნობილი მიზეზების გამო, გაცილებით იოლად და კარგად შეიძლება ცხოვრება. მაგალითად, ყოველი ათასი აფხაზიდან მრეწველობაში დასაქმებულია მხოლოდ 282 კაცი, ხოლო ყოველი ათასი ქართველიდან — 357. სამაგიეროდ, ვაჭრობასა და მომარაგებაში ყოველი ათასი აფხაზიდან 109 კაცია დასაქმებული, ხოლო ყოველი ათასი ქართველიდან — 61.

ახლა ისიც ვიკითხოთ, იქნებ ბატონ აკაკის მართლა ჰგონია, ქართველები აფხაზებს აფხაზურ ენაზე სწავლის საშუალებას არ აძლევდნენ ან ის ფაქტი, რომ აფხაზები აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 17 პროცენტია, ქართველების ბრალია, რასაც წამდაუწუმ გაჰყვირიან აფხაზი სეპარატისტები. სინამდვილეში სრულიად საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს. ამჟამად აფხაზეთში 73 აფხაზური სკოლაა, მაშინ როდესაც ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებში მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშვის სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ამასთან აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს რუსულ ენას, როგორც სკოლებში სწავლების ენას. მათი სურვილის შესაბამისად მშობლიური აფხაზური ენა რუსულ სკოლებში ისწავლება მხოლოდ როგორც ერთ-ერთი რიგითი საგანი. სწორედ ამის გამო ამჟამად 16,4 ათასი აფხაზი მოსწავლიდან 11,6 ათასი მოსწავლე, ანუ 70,5 პროცენტი რუსულ სკოლებში სწავლობს. ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა საერთოდ რომ არ ცხოვრობდეს, აფხაზების ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 32 პროცენტზე მეტი არ იქნება. ეს იმიტომ, რომ სხვა ეროვნებები აფხაზეთში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ და ამაში ქართველებს ვერავინ დაადანაშაულებს, რომ მეტი არაფერი ვთქვათ.

ახლა იქნებ თვით ბატონმა აკაკიმ გვიპასუხოს, რაში ხედავს იგი აფხაზების დათრგუნვას. იქნებ იმაში, რომ ჩვენ აფხაზებს არაფერს ვუთმობთ? მაგრამ თუ ბატონმა აკაკიმ არ იცის, ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩვენ აფხაზებს ყველაფერი დავუთმეთ ჩვენი საქართველოს მიწის გარდა. ბატონო აკაკი, თქვენთვის კარგად არის ცნობილი, აფხაზეთის მოვლენები დაახლოებით როგორი პერიოდულობით მეორდება და როდის. ისიც ცნობილია, თუ ვინ არის ამ ამბების დირიჟორი, და აფხაზი ექსტრემისტებისა და სეპარატისტების „ნამოღვაწარი“ რამდენი უბედურების საწყისი გახდა ქართველებისა და თვით აფხაზი ხალხისათვის. რომელი ერთი გავიხსენოთ. 1989 წლის სისხლიანი ამბების დროს აფხაზმა ექსტრემისტებმა ქართველებზე აღმართეს ხელი და მათმა ბარბაროსულმა თავდასხმამ, როგორც თვით აფხაზები აღნიშნავენ, უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. ლიტველი ჟურნალისტი რ. ევდოკიმოვ-ვოგაკი ამ მოვლენების შესახებ წერდა: „აფხაზური მოძრაობის იდეოლოგები თავისი გამოსვლისათვის ადრევე ემზადებოდნენ. მათ მძლავრი პროპაგანდისტული კამპანიის ჩატარება შეძლეს და დაასწრეს კიდეც პირველ ხანებში ცოტათი სახტად დარჩენილ ქართველებს. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ თავისთავად აგიტაცია ხომ ცოტას იძლევა. საჭიროა, ხალხიც მზად იყოს, იგი აღიქვას. ვშიშობ, სიღრმისეული სიმართლე უფრო სამწუხაროა“.

სიღრმისეული სიმართლე მართლაც უფრო სამწუხარო გამოდგა. ის, რაც ამ დღეებში აფხაზეთში მოხდა, გუშინ და დღეს არ დაწყებულა და ამისათვის ისინი დიდი ხანია გულმოდგინედ ემზადებოდნენ. ყოველივე ეს კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ე. წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოწოდებებსა და მოქმედებაში. ჩრდილოეთ კავკასიიდან ბანდიტური ჯგუფები უსირცხვილოდ შემოიჭრნენ საქართველოში. მათ სურთ ჩვენი მიწაწყლის მითვისება, ხოლო სოხუმის ამ შეთითხნილი ფედერაციის დედაქალაქად გამოცხადება, მართლაც, რომ იშვიათი თავხედობის ნიმუშია. აფხაზი ექსტრემისტებისა და გადამთიელების ხელით დაიღვარა უდანაშაულო ქართველების სისხლი, სერიოზული საფრთხე დაემუქრა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამის მოთმენა უკვე შეუძლებელი გახდა, რომ აღარაფერი ვთქვათ უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ უმართებულო კანონებზე და მის ასევე უმართებულო მოქმედებებზე. ამდენად თქვენი მოწოდება, ბატონო აკაკი, ჩვენზე მცირერიცხოვან ხალხზე ძალისმიერ პოზიციას ნუ მივმართავთ, თუ მეტს არ ვიტყვით, ყოვლად გაუმართლებელია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს ყველამ, რომ აფხაზეთი საქართველოა და მის ხელყოფას ქართველი ხალხი არავის აპატიებს — არც აფხაზს და არც, თუ გნებავთ, ჩეჩენს. გამუდმებით მცირერიცხოვანი ხალხის დუდუკზე თამაში, დამეთანხმებით, შეუძლებელია. ეს საქართველოს საბოლოო დასუსტებამდე და დაშლამდე მიგვიყვანს, რისი სიმპტომებიც ახლა ნათლად გამოიკვეთა.

ისტორიულადაც ცნობილია, შედარებით ბევრად მცირერიცხოვანმა ხალხმა — ლეკებმა — რა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა საქართველოს: „მოისრნა ხშირი ქვეყანა“, კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთი მხარე გაუკაცრიელდა. ლეკთა გამუდმებული წვრილ-წვრილი შემოსევები, შეიძლება ითქვას, დამღუპველი აღმოჩნდა ჩვენი სახელმწიფოსათვის, რომელსაც ამ დროს არ ჰქონდა საშუალება მასშტაბური ომის საწარმოებლად და ლეკიანობის აღმოსაფხვრელად.

ბატონო აკაკი, თქვენს გამოსვლაში მხოლოდ ერთგან სწორად აღნიშნეთ, რომ არ მოგწონთ რუსეთის ასეთი აქტიური მონაწილეობა ჩვენი საკითხების გადაწყვეტაში. ეს, არა მგონია, რომელიმე ქართველს მოსწონდეს, მაგრამ უმჯობესია პოლიტიკური საკითხი პოლიტიკოსებს მივანდოთ გადასაწყვეტად. თქვენ კი, მაპატიეთ, მაგრამ ვერ ჩაგთვლით ამ რანგის პოლიტიკოსად.

ერთსაც შეგახსენებთ. ერთხელ აკაკი წერეთელს უთხრეს: ორმოც წელს მიტანებულ ქალს გიტარის დაკვრა სურს ისწავლოსო. — ეგ ალბათ, საიქიოში დაუკრავსო, — მიუგო პოეტმა. საიქიო თქვენც და ჩვენც ღმერთმა გვაშოროს, იმქვეყნიური რწმენის მიუხედავად, მაინც სააქაოში გვირჩევნია ცხოვრება, მაგრამ თქვენი პოლიტიკოსობა, მართალი გითხრათ, ადრეც დაგვიანებულად მიმაჩნდა. ისე კი, თუკი ტელევიზიით გამოსვლისას ორიგინალობა გსურდათ გამოგეჩინათ, იგი შეგეძლოთ მაშინ გაგეკეთებინათ, როდესაც ამის მეტი შესაძლებლობა გქონდათ.

ვიცი, ცინცინატობა და სცენის დატოვება ყველას როდი შეუძლია, მაგრამ სცენას თუ ვერ შეველევით, მენესთევსის როლი არ უნდა ვითამაშოთ.

თითქმის არ შეცვლილხართ

ღია წერილი ბატონ აკაკი ასათიანს

რევაზ სურგულაძე

ბატონო აკაკი! თქვენმა გამოჩენამ სატელევიზიო ეკრანზე შაბათ საღამოს მეც და ალბათ ბევრ სხვა მაყურებელსაც იმედები აღგვიძრა. ეს იმედები იმასთან იყო დაკავშირებული, რომ გვეგონა საქართველოსათვის ამ ძნელბედობის ჟამს პირუთვნელად შეაფასებდით მოვლენებს, გულწრფელად ისაუბრებდით აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მიზეზებზე. სამწუხაროდ, ასე არ მოიქეცით, უკვე თავიდანვე შეინიღბეთ, როცა მაყურებელს წარუდექით როგორც ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და არა როგორც ის პიროვნება, რომელსაც პირადადაც მიგიძღვით გარკვეული წვლილი აფხაზეთის მოვლენათა განვითარებაში. ხომ ცნობილია, რომ სწორედ თქვენმა ხელისუფლებამ მიიყვანა ვ. არძინბა ხელისუფლების სათავეში, თქვენვე ვერ შესძელით აფხაზ სეპარატისტებთან პოლიტიკური დიალოგის სწორი წარმართვა (რასაც ახლა სხვებს უკიჟინებთ!) და მიაღებინეთ უპრეცედენტო საარჩევნო კანონი, რომელიც დისკრიმინაციულია არა მარტო ქართველების, არამედ იქ მოსახლე ყველა ერის წარმომადგენლებისთვისაც. ამით თქვენ აფხაზეთში კიდევ ერთი დაყოვნებული მოქმედების ნაღმი შეიტანეთ, რომელიც აფეთქებისას არც აფხაზებს და არც სხვებს სიკეთეს არ მოუტანდა, აკი ასე მოხდა კიდეც.

თქვენ კი შეეცადეთ გაგემართლებინათ ყოფილი ხელისუფლების ეს უაზრო კომპრომისი, აქაოდა, სიტუაცია იყო ასეთი, არავითარი სხვა გზა არ არსებობდაო. უნდა გითხრათ, ეს ცდა თქვენგან არ მიკვირს, იგი გასაგებია, მაგრამ გამაოცა თქვენი არგუმენტაციის უმწეობამ. თქვენ გვარწმუნებთ, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მაინც აფხაზები და მათი მოკავშირე სხვა ერების წარმომადგენლები გაიმარჯვებდნენ და თავიანთ სასურველ კანონებს მაინც მოახვევდნენ ქართველ მოსახლეობას თავსო. ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ უფრო მეტ ქართველ დეპუტატს უფრო ადვილად მოუგებდნენ საპარლამენტო ბრძოლებს აფხაზები, ვიდრე ახლანდელ ოცდაექვს კაცს? აფხაზი სეპარატისტების სურვილისამებრ შეთითხნილი კვოტებით მათ ორჯერ და უფრო მეტი მანდატი მიიღეს, ვიდრე ეკუთვნოდათ და რაოდენობით ქართველებსაც გადააჭარბეს: ეს მოხდა აფხაზეთში მცხოვრები ყველა სხვა ერის ხარჯზე. ამით თქვენ ისედაც წაქეზებულ აფხაზ სეპარატისტებს კიდევ უფრო განუვითარეთ დაუსჯელობისა და რეგიონის „რჩეული რასის“ კომპლექსი. თქვენ მათ აჩუქეთ აპარტეიდული კანონი, შეუქმენით პროვინციული ფაშიზმის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ განცხადებით თქვენ ქართველთა მოწინააღმდეგედ, ლამის მტრად დასახეთ აფხაზეთში მოსახლე ყველა სხვა ერი, რაც სწორი არ არის. რა ისეთი ურჩხულია იქაური ქართველობა, რომ ყველა მის წინააღმდეგ შეკავშირდებოდა? ნუთუ რამდენიმე სხვა ერის წარმომადგენელი მაინც არ ამოუდგებოდა გვერდში სამართლიანი წესით არჩეულ ქართულ დეპუტაციას? აკი ოცდაექვს კაცს თუ მაინც დაუდგნენ მხარში, ოცდაათს ან ორმოცდათორმეტს ხელს ჰკრავდნენ? ასეთი უმწეო ლოგიკა, ბატონო აკაკი, თქვენი რანგის (თუნდაც ყოფილის) სახელმწიფო მოღვაწეს არ შეეფერება. თქვენ არ გინდათ აღიაროთ, რომ თქვენი ხელისუფლება გამსახურდიას მეთაურობით ფაქტობრივად გაურიგდა აფხაზ სეპარატისტებს, და ეს ადგილობრივი ქართველი ხალხის ზურგს უკან მოხდა. ეს გასაკვირიც არ არის. თქვენ, ბუნებრივია, გიჭირდათ დიალოგი აფხაზ ლიდერებთან, ვინაიდან თქვენს უკან, ჩვენდა სამწუხაროდ, „მრგვალების“ პოპულიზმით გაჟღენთილი მონოეროვნული პარლამენტი იდგა.

ყველას გვინდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. ამ მხრივ თქვენი განცხადებაც ბუნებრივია, მაგრამ ვის მოუწოდებთ აფხაზეთის ავტონომიის შენარჩუნებას, აფხაზი მოსახლეობის გადარჩენას? ნუთუ დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც არაერთხელ დაადასტურა ავტონომიისა და მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის უფლებათა ხელშეუხებლობის სურვილი? რატომ ამტვრევთ ღია კარს? ხომ არ აჯობებდა, თქვენი მეგობრების, ექსპრეზიდენტის თავგამოდებული მომხრეებისათვის მოგეწოდებინათ, არ გაეტაცებინათ ადამიანები, არ დაეშინათ ტყვეები თანამოძმეთათვის, არ მოეწყოთ დივერსიები, შეეწყვიტათ ძარცვა-ყაჩაღობა. და, რაც მთავარია, ახლა მაინც რატომ არ შერისხეთ და შეაჩვენეთ ისინი, ვინც ძირს უთხრის სრულიად საქართველოს არსებობას და გადამთიელთა დახმარებით „აფხაზეთ-სამეგრელოს სახელმწიფოს“ შექმნას ცდილობს? რატომ არ გააკეთეთ ეს, ბატონო აკაკი, განა დრო არ არის პოზიციები გამოიკვეთოს და სირაქლემობანას თამაშს თავი დავანებოთ?

სატელევიზიო გამოსვლის დაწყებისთანავე თქვენ მაყურებელს მოუბოდიშეთ, რომ დიდი ხანია არ შეხვედრიხართ. ხომ არ გგონიათ, რომ თუნდაც თქვენი ზეობის პერიოდში ბევრ რამეს სძენდა თქვენი გამოსვლები ქართველ ხალხს? გვახსოვს თქვენი რამდენიმე ასეთი გამოსვლა, პარლამენტისა თუ უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე. გაიხსენეთ, რა ჭირის ოფლს იწურავდით, ოღონდ სიმართლე არ გეთქვათ და თქვენი კერპისათვის მიცემული ფიცი დაგეცვათ. თქვენმა ამ გამოსვლამ დამარწმუნა, რომ თითქმის არ შეცვლილხართ, ბატონო აკაკი! ძველი პოპულისტური მეთოდებიც კი გამოიყენეთ, მაყურებელს შეაპარეთ აზრი, საქართველოს საშინაო საქმეებში ერევიანო აქეთ რუსეთიო, იქეთ შეერთებული შტატებიო და ა. შ. უფრო მეტიც, სოხუმის აღებაც ახსენეთ და ამით იქაური მოსახლეობის გაღიზიანებაც სცადეთ, თუმცა კარგად იცით, როგორი იყო ეს „აღება“. პროვოკაციულად აჟღერდა ცხინვალის აღების ხსენებაც, თქვენ ხომ უფრო ადრე იყავით ხელისუფლების სათავეში და რატომ არ აიღეთ? კიდევ მრავალი კითხვის დასმა შეიძლებოდა თქვენთვის ამ გამოსვლასთან დაკავშირებით, მაგრამ კმარა, წერილი ისედაც გამიგრძელდა. ბოდიში უნდა მოგიხადოთ მკაცრი ტონისათვის, მაგრამ იგი თქვენი გამოსვლის შემდეგ ცხელ გულზე იწერება. მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენდამი და თქვენს თანამოაზრეთა მიმართ ასეთ დამოკიდებულებას მხოლოდ ყველა თქვენგანის გულწრფელობა, სიმართლისათვის თვალებში ჩახედვა შეცვლის და სხვა არაფერი. საჭიროა, გეყოთ მოქალაქეობრივი გაბედულება, მით უმეტეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილ სპიკერს. თუ ასე არ მოხდა, ნუ გეწყინებათ და ისევ და ისევ შეგახსენებენ ბრძენ წინაპართა ნათქვამს „... არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საფრთხე რეალურია

ოთხშაბათს თელ-ავივის უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სიმპოზიუმზე „ამერიკული წყალბადის ბომბის მამამ“ ედუარდ ტელერმა ბრძანა, თუ გავითვალისწინებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შექმნილ რთულ ეკონომიკურ სიტუაციას, იქ ბირთვული იარაღის კონტრაბანდული გაყიდვის რეალური საფრთხეაო, რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს „ჩემოდნით ან მსუბუქი ავტომობილით გადასატან“ მინიბომბებს.

ე. ტელერი ამასთანავე ე. წ. „ვარსკვლავეთის ომების“, ამერიკის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროექტის ავტორი და სულისჩამდგმელია. ამ ახალი მიმართულების გამალებულ შეიარაღებაში საბჭოთა კავშირიც ჩაება. პრეზიდენტმა რეიგანმა ამ პროგრამაში მონაწილეობა საბჭოთა კავშირს შესთავაზა იმ მოტივით, რომ გლობალური თავდაცვითი სისტემა განეიტრალებდა ნებისმიერ რაკეტულ თავდასხმას და მსოფლიოს თავიდან ააცილებდა ბირთვული ომის კატასტროფას. იმ დროს, „ცივი ომის“ ვითარებაში, როცა ორი სამყარო — კაპიტალისტური და სოციალისტური — მსოფლიო ბატონობისათვის ერთმანეთს ეცილებოდა და კაცობრიობას კატასტროფისკენ მიაქანებდა, ამერიკელთა ეს პროგრამა საბჭოთა კავშირმა მკაცრად დაგმო, თუმცა მყისვე შეუდგა ამ მიმართულებით მუშაობას კონტრსისტემის შექმნის მიზნით და საამისოდ მილიარდები გამოყო. „ცივი ომის“ დამთავრებასთან დაკავშირებით, როცა მსოფლიო ბატონობის მოსკოვის პრეტენზიები საბჭოთა იმპერიის დაშლასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა, თვით რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მიმდინარე წლის იანვარში შესთავაზა ამერიკის მხარეს გლობალური თავდაცვითი სისტემის ერთობლივად შექმნის წინადადება ამ საქმეში ორივე მხარის მიღწევების საფუძველზე. ეს წინადადება ჰაერში გამოკიდებული როდი დარჩა. მან ამერიკის უმაღლეს წრეებში გარკვეული მხარდაჭერა პოვა, და არ იყო გასაკვირი, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ნიადაგის მოსასინჯად რუსეთს ეწვია თვით ედუარდ ტელერი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამერიკაში და, საერთოდ დასავლეთში დიდად აფასებენ სამხედრო სფეროში, განსაკუთრებით კოსმიური ტექნოლოგიის დარგებში ყოფილი საბჭოთა კავშირის მიღწევებს. ამასთანავე ბალისტიკური იარაღის მსოფლიოში შემდგომი საშიში გავრცელება, ბირთვული იარაღის წარმოებასთან ერთად, დიდად ზრდის მოულოდნელი რაკეტული დარტყმის საფრთხეს; მით უმეტეს — დღევანდელ მღელვარე, ფეთქებად მსოფლიოში, სადაც დიდი მსოფლიო ხანძრის პროვოცირების მრავალი კერა არსებობს.

ირაკლი ჯაფარიძე

თითო აბზაცით

ორშაბათს ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა, რომ მიღწეულია რუსეთთან შეთანხმება, შეისყიდონ ლიკვიდირებული ბირთვული იარაღის გამდიდრებული ურანი მხოლოდ სამშვიდობო მიზნით (საწვავად) გამოსაყენებლად. დოკუმენტის ოფიციალური ხელმოწერა მოგვიანებით გაიმართება.

ჯაკარტაში (ინდონეზია) გაიხსნა მიუმხრობელი სახელმწიფოების უმაღლესი დონის კონფერენცია. იგი გახსნა ინდონეზიის პრეზიდენტმა სუხარტომ.

მწერალი და დრო

თებერვალი, მარტი, აპრილი, აჰა, მაისიც!..

კიტა ბუაჩიძე

გუშინ, 14 მაისს, დედაქალაქში ხმა დაირხა, შევარდნაძე ცხინვალს გაფრინდაო... ამის გაგებისას, მართალი გითხრათ, გულს შემომეყარა და უმალ ახლა უკვე შერისხული, მაგრამ მაინც დიდი მწერლის, მაქსიმ გორკის ცნობილი ნათქვამი მომაგონდა: «Безумство храбрых».

ედუარდ შევარდნაძემ — არა მოჩვენებითი (გულდედალი ამას ვერც გაითამაშებს), უშიშარი ხელმძღვანელი კაცის ბუნება არაერთხელ გამოავლინა — თუ აბობოქრებულ სტადიონზე, თუ აფხაზეთში 1978 წელს, თუ იმავე წელიწადს ბრეჟნევის ნაბოძებ კონსტიტუციასთან დაკავშირებით, თუ ტყვიებით გარემოცულ ავღანეთში, თუ შარშანწინ საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგომისას, სამხედროები დიქტატურის დამყარების მისწრაფებაში რომ ამხილა, თუ შარშან მოსკოვში — აგვისტოს პუტჩის დღეებში.

(დასტურ, პუტჩის მოთავეების — იაზოვ-კრიუჩკოვ-ლუკიანოვ-პავლოვისა და აწ ცხონებული პუგოს სურათები, ნიშნად უზომო მადლიერებისა, უნდა გამოვკიდოთ გამოსაჩენ საზოგადოებრივ ადგილებში: სწორედ მათ დააჩქარეს, რასაკვირველია, თავისდა უნებურად, ჩაფიქრებული განზრახვის საწინააღმდეგოდ — იმპერიის დაშლა-დაქუცმაცება და კომუნისტური პარტიის ალკვეთა-გაარარავება).

და ახლა ცხინვალი, ზემოხსენებულ საფრთხეებზე ბევრად უფრო საშიში, დიახ, ის ცხინვალი, სადაც ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე კი არა, დღიდან ხრუშჩოვის გაიმპერატორებისა, იქაური „ელიტა-რჩეული“ ოსები ქართველებს თანამიმდევრულად ყოველმხრივ ავიწროებდნენ, დევნიდნენ, რათა ძირიან-ფესვიანად წაშავებულიყვნენ „თავიანთ საქართველოში“, სადაც, სხვათა შორის, მათ თანატომელ ასი ათასს რბილ ბალიშზე ძილს არავინ უფრთხობდა.

...დიახ, სწორედ იმ ცხინვალში, სადაც ქართველები, ბევრად, ბევრად ადრე, ვიდრე იქ ეს ამბები ახანძრდებოდა, ქართულად უკვე მორიდებულად ლაპარაკობდნენ, და ამ ჩუმი ლაპარაკის გაგონებისასაც კი, ჩოჩიევები ჩვენი ენისადმი სიძულვილს ვერ ფარავდნენ, და ახლა, როცა ეს „ჩოჩიევისტები“ (ასევე „ზვიადისტებიც“) ჩვენგან ხშირად ისმენენ, რომ ედუარდ შევარდნაძე ამჟამინდელი აწრიალებულ-სისხლამღვრეული საქართველოს ერთადერთი და უკანასკნელი იმედია, ბოდა, თუ იგი ერთადერთია, რომელსაც ძალუძს საქართველოს... მთლიანი საქართველოს შენარჩუნება...

და როცა ჩვენი, ჩვენი ეს ერთადერთი საღამოთი ტელეეკრანზე გაავებული ოსი ქალების გარემოცვაში ვიხილე, თანაც მათთან ცხვირი ცხვირის წინ, ფათერაკი თუმცა უკვე ჩავლილი იყო, და მაინც... რაკი თანამოაზრენი ასიათასობით მეგულება, მრავლობითში ვიტყვი, შიშის ჟრუანტელმა მთელ ტანში დაგვიარა.

აბა, რა ბევრი უნდა უღირსისგან ღირსეული ადამიანის შემუსვრას? გავიხსენოთ თუნდაც დედაშვილი ინდირა და რაჯივ განდი, ანდა ამასთან შედარებით სულ ახალი ამბავი: ყოველმხრივ მომხიბლავ ოსკარ ლაფონტენთან ვიღაც ბანოვანი ვითომდა მოსიყვარულე ყვავილების თაიგულით რომ მიგოგმანდა და... „ალერსიანად“ კისერზე დანა დაუსვა.

მართალია, შეშფოთებული გერმანელები მალევე „დაამშვიდეს“, მიმდინარეობს გამოძიებაო, ის ქალი ვფიქრობთ, მთლად ნორმალური არ უნდა იყოსო...

მერედა, განა ჩვენ ცოტანი გვყავნან „არცთუ სულ ნორმალურები“, ნაირ-ნაირი „პოლიტიკური“ ფსიქოზით შეპყრობილი გონდაკარგული, ქალი თუ კაცი, უმეცარნი და არაუმეცარნიც, ამ უკანასკნელთა შორის ძალზე ბევრს პირადი, ქვენა ინტერესები რომ ამოძრავებს და ედუარდ შევარდნაძის საქართველოს საპირველკაცო ტახტზე ზეასვლა თავიანთი ცხოვრების მრუდე გზაზე სულაც არ ეფინებათ ვარდებად?-

როცა არცთუ პირტიტველა ჭაბუკი, ვინ იცის, შეიძლება, მომავალი ფსიქიატრი, ტელეეკრანიდან წარბშეუხრელად და დარწმუნებით განაცხადებს, —

(„ბატონ ზვიად გამსახურდიასგან დასწავლილ-ჩაგონებულს, რომელსაც „კრემლის აგენტ ნომერ პირველის“ მიერ საქართველოს სასიკეთოდ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, მით უმეტეს ამის პრაქტიკული, დადებითი ნაყოფი, თვალზე და გულზე მაყვლის ეკალივით ესობა), —

შევარდნაძეს ქართველი ერის ამოხოცვა და საქართველოს მოსპობა-განადგურება აქვს დასახულიო მიზნად!,

როგორ, ასეთი ურცხვი შეგირდი და, უფრო კი, მისი სულ პირწმინდად სინდისგარეცხილი უსტაბაში შეიძლება ფსიქიკურად ნორმალურ ქართველებად ჩაითვალონ და მათგან ყოველგვარი ავსა და აუგს არ უნდა მოველოდეთ?!

ანდა, თუ გნებავთ, „ზვიადელების“ მთავარი განმანათლებელი გურამ პეტრიაშვილისგან, ამას წინათ, ტელეგამოხტომისას, თავისი ორი წიგნით თავს რომ გვაწონებდა (წაიკითხეთ და შეგიყვარდებითო) და კითხვაზე, იზიარებს თუ არა ის იმ აზრს, რომ შევარდნაძეს მართლაც უნდა ქართველი ხალხის ამოჟლეტა და საქართველოს დაქცევა-გაოხრება, ამის პასუხად, ერთი შეუმჩნეველი მწერლიდან დიდ მწერლად და დიდ მოაზროვნედ თავის დამნიშვნელისთვის და მისი მიმდევრების საამებლად და, შეიძლება, გასამხნევებლადაც, დუმილი არჩია (რაც, არსებითად, „კი“ და „ჰოს“ ნიშნავდა), და რის ამეტყველდა, გაგვახარა და დაგვამშვიდა ახლად მოვლენილი, მეორე, ამჯერად ზვიადმესიასთან შედარებით ნორჩი, თითქმის მეძუძური მესიის აღმოჩენით, საქართველო გადარჩება იმიტომ, რომ არსებობს ხვიჩა მენეჯერიძეო“ (არ იფიქროთ, იმ მედიკოს-სტუდენტის ნამდვილი სახელ-გვარი არ მახსოვდეს, მაგრამ ჩემს წლოვანებას არ შეჰფერის ყმაწვილ კაცს თავი მოვჭრა საისტორიოდ).

...ასე რომ, ჩვენ ყველამ, ვისაც გვჯერა და გვწამს, რომ ედუარდ შევარდნაძე ქართველი ერისთვის ამ საშინელ, შემაძრწუნებელ, საბედისწერო სიტუაციაში თითქოს მართლაც განგებამ მოგვივლინა, ჩვენს სიცოცხლეზე არანაკლებად მის სიცოცხლეს უნდა ვუფრთხილდებოდეთ, მის ჯანსა და ღონეს, მის ნერვებს, რომელთა ასაწრად, ვასახელებ მაგალითისთვის, დილნიადაგ არ უნდა შევძახოთ, აი თუნდაც, — გაიყვანეთ საოკუპაციო ჯარები, გაიყვანეთ საოკუპაციო ჯარებიო, სხვათა შორის, ეს მსგავსად იმ ხელგაშვერილი უპოვრისა, ჩემი მომწიფების ჟამს, ბელინსკის ქუჩის კუთხეში რომ იდგა და იყო თუ არა იმ დღეს ბარბალობა, მაინც დილიდან საღამომდე ცივი ხმით გაჰკიოდა, ბარბალობაა დღეს, ბარბალობაა...

რა თქმა უნდა, ჩემი (ჩვენი!) სურვილი იქნებოდა, და ეს, ვფიქრობ, საერთო-საერო საქმესაც წაადგებოდა, თუკი აწი მაინც ედუარდ შევარდნაძე ბუნებით მომადლებულ, გადამეტებულ გამბედაობას მოთოკავს და ამიერიდან მოძალადე ცხინვალს კი არა, ცხუმსაც არ გაეკარება...

თუმცა... ო, არა, ცხუმს — კი!.. აქამდე ასე რომ მეგონა, ამჟამად აფხაზეთის დიდი ნაწილი, ისევე, როგორც სამეგრელო, საქართველოს ვანდეაა-მეთქი, საქართველოსვე საბედნიეროდ, ერთობ მოვტყუვდი: ორიოდე დღის წინათ იქაური ქართველობის ერთი ნაწილის თავყრილობას ვადევნებდი თვალს და გული სიხარულით და სიყვარულით მევსებოდა; ეს რა გონებაგამჭრიახი, მოაზროვნე, გულადი, მშვენიერი მოქართულე, ენამეტყველი, ნამდვილი ინტელიგენტი მამულიშვილები გვყოლია, თურმე იქ: გივი ლომინაძე, დიმიტრი ჯაიანი, მალხაზ პატარაია, ბორის კაკუბავა, ჯანო ჯანელიძე, ძმები კალანდიები და სხვები (ამ სხვებს, ბოდიშს ვუხდი ტელევიზიის ნაცვლად, რომელიც ორატორთა გვარებს არც სიტყვიერად აცხადებდა და არც კადრზე აწერდა).

ყოფილი დრამატურგის, ამჟამად ძალად პოლიტიკოსის ქრონიკალური ჩანაწერების ერთი ფრაგმენტი

ეს-ეს არის ვთქვი, ქართველობის ერთი ნაწილი-მეთქი, და ასე იმიტომ, რომ ვერც ტრიბუნაზე ვიხილე და ვერც დარბაზში მყოფთა შორის შევნიშნე ერთი ჩემი ძველი ნაცნობი, თეატრალური მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი, ამ ორიოდე წლის წინათ ერთიანი საქართველოს, მგონი, ყველაზე უფრო საიმედო მესიტყვე აფხაზეთში...

რა დავფარო, ერთობ საწყენად დამრჩა, როდესაც გავიგე, რომ ის ახლა, თურმე, გაბმულია სოხუმსა და გროზნოს შორის და იქაურ „ზვიადისეულ სხივებზე“ არათუ მარტო საპროგრამო სიტყვებით გამოდის, ამას წინათ „ბატონი პრეზიდენტის“ ტელემიმართვაც კი ჩამოუტანია აფხაზებისადმი, ორდღიანი აფხაზური ენის შემსწავლელ კურსებზე შესწავლილი აფხაზურ ენაზე; ეს, ცხადია, იმათ გულის მოსანადირებლად, ვისზეც დისიდენტი გამსახურდია ჯერ კიდევ გუშინ გაჰყვიროდა, დღევანდელ აფხაზებს არაფერი საერთო არა აქვთ ადრინდელ აფხაზებთან, ესენი სამ-ოთხი საუკუნის წინათ ჩამოეთესლენო ჩრდილოეთ კავკასიიდან.

(ისე, ღვთის წინაშე, ამ აზრს, ზოგიერთი არა თავისი ნებით ბაგეაკრული, ენადაბმული მეცნიერისა არ იყოს, მეც ვემხრობი: ორ ათასწლოვანმა ერმა, რა რჯულისაც უნდა ყოფილიყო, ამ გიგანტური დროის მანძილზე ნუთუ ერთი მაინც, ან ეკლესია, ან მეჩეთი, ან სინაგოგა ვერ ააშენა და ნუთუ საკუთარი დამწერლობის მაგვარი რაღაცაც კი ვერ შექმნა, რომლის ბაზისზე საისტორიოდ თუნდაც ერთ სიგელ-გუჯარს მაინც შევთხზავდი ანდა ვთარგმნიდი რაიმეს ახლო მეზობლებისას, თუ ძველი ბერძნულიდან და ქართულიდან არა, ოსმალურიდან მაინც?! როგორც ვიცით, აფხაზური ლიტერატურის ერთადერთი ფუძემდებელი დიმიტრი გულია არ გარდაცვლილა 1960 წელს მათუსალას ხნისა — ცხრაას მიტანებული და, ვინ იცის, იქნებ სწორედ მან შეიტანა ამ უძველეს ზღვისპირა (მმ!) ხალხის ენაში ზღვის აღმნიშვნელად რუსული „Море“ („ა-მორე!“).

გამსახურდია ამის შემდეგაც, უკვე როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაქიბუქობდა (საბედნიეროდ, ახლა არა მიტინგებზე), — თავის ტყავში დაეტიონ, თორემ... 80 ათას აფხაზს სათითაოდ ჩავსვამ მანქანებში და ისე გადავრეკავ საქართველოს საზღვრებს იქითო, დღეს კი დუდაევის სანახებში „საწყალს გული ეწვის და მდუღარე ცრემლებს ღვრის“, შევარდნაძის ქართველებისაგან გატანჯული აფხაზი ერით...“ ერით!

ნიშანდობლივია, რომ გამსახურდია არც პრეზიდენტობისას შეეშვა გასახლების მუქარა-ქადილს:

(დასასრული მე-4 გვ.).

თებერვალი, მარტი, აპრილი, აჰა, მაისიც!..

ყოფილი დრამატურგის, ამჟამად ძალად პოლიტიკოსის ქრონიკალური ჩანაწერების ერთი ფრაგმენტი

(დასასრული)

ჯავახეთში, ამის მოწმედ ტელექრონიკა დაგვიდგება, მშვილდ-ისარმომარჯვებულმა, ვიდრე სამიზნეს ბდღვირს ადენდა, თითქოს ჯუნგლებშიაო, ტარზანივით იჩქითად შეჰკივლა, გადავრეკოთ ურჯულოებიო, ოღონდ კაცი ვერ მიუხვდებოდა, ამჯერად გადასაკარგავად რომელ „გიაურთ“ იმეტებდა...

...მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატ თუ ნადეპუტატარ, მაგრამ ჩემს თვალში ახლაც ინტელიგენტს, და არა ნაინტელიგენტარ, სოხუმელ ნუგზარ მგალობლიშვილს, გონიერს, როგორც ჩანს, ღრმად სწამს, რომ საქართველოს ბედნიერი მომავლის ბედი თეორიულად ამჟამად ჩიჩნეთში იჭედება და პრაქტიკულად საქართველოში ნგრევა-ხოცვით უკვე ხორციელდება, და ეს ბედნიერება საქართველოს უფრო სწრაფად შეუძლია მოუტანოს მხოლოდ და მხოლოდ ბატონ ზვიად გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტის, დაბრუნებამ საქართველოში, მე კი, არაგონიერს, მოვლენების ამგვარი განვითარება საქართველოსთვის დამღუპველ უბედურებად მიმაჩნია, — და მაინც, ამ ჩემს ძველ ნაცნობს, თუკი სადმე შემხვდება (ჩიჩნეთის გარდა!), წინანდებურად ხელს გავუწვდი, თანაც არა როგორც სამულველ ანტიპოდს, ოღონდ ესეც არის, თავის ხელს თვითონ კი შემომაგებებს?!

უკვე მწარენაჭამს ამის შიშის საფუძველი მქვს კიდეც: „ეროვნებით მეგრელმა“, ვალიდან, რედაქტორმა ქალმა (არა გაზეთის და არა წიგნის), ჩემზე 20 წლით უმცროსმა (ზრდილობის სამეტყველოდ ამას მნიშვნელობა აქვს), რომლის ერთშვილიან ოჯახთან მთელი თხუთმეტი წლისწადი უანგარო მეგობრობა მაკავშირებდა, როცა ერთ ჩემს ნაწერში ამოიკითხა, ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოს სამართავად არავითარი სიბრძნე არ აღმოაჩნდაო, გულს შემოეყარა და ყოველგვარი ნაცნობობა შეწყვიტა ჩემთან, როგორც ერის ვერაგ მოღალატესთან, და ისიც კი არ შემატყობინა, თუმცა რა ხანია მშვენივრად იცის, ყოველი ქართველის დაბადება რარიგ მახარებს, მით უმეტეს მის სტუდენტ-ვაჟს, ჩემ თვალწინ გაზრდილს, ამ ქირიანობის ჟამს პირველი შვილი რომ შეეძინა, ასეთი ხაბარი, ცხადია, ერთიორად გამახარებდა.

ალბათ, საინტერესო იქნება იმის შეტყობაც, რომ, როცა ამ რედაქტორმა ქალმა, მისი მრავალი და მრავალი კოლეგის გულსატკენად, შარშან, წლის უკანასკნელ მღელვარე თვეებში პრეზიდენტის სადიდებლად პრესაში არაერთი წერილი მოათავსა და გამოსვლებითაც რადიოტალღები არაერთხელ შეარხია („ბატონმა ზვიადმა გამოაღვიძა საქართველო!“ — და ალბათ, მისი ღრმა რწმენით, ყირგიზეთ-ყაზახეთ-ტაჯიკეთ-უდმურტეთიც!), მე მისთვის, მის „გადმოსახვიადებლად“, უფრო ჭკუისდამრიგებლური სიტყვაც არ მიკადრებია, და ეს, რა დავმალო, უფრო იმიტომ, რომ ვიცოდი რკინისებრი ლოგიკის არგუმენტებითაც ვერ დავარწმუნებდი, აი, მსგავსად იმ ცერცვისა, კედელს... კედელს...

უცნაურია, სწორედ ამ წუთს წერის მომწყვეტი ტელეფონის ზარმა — სულაც არა ტელეპათმა ერთმა ჩემმა მეგობარმა:

— ღმერთო დიდებულო, ეს რა ამოვიკითხე 18 მაისის გაზეთ „სარანგში“; „...ამ ჯოჯოხეთიდან გამოსვლის ერთადერთი გზა არის ისევ და ისევ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა“ო; „ხუნტებსო“, „თუკი ვითმენდით სამოცდაათი წელი, მოეთმინათ, ბატონო, ოთხიხუთი წელი და კანონიერად მოსულიყვნენ ხელისუფლებაში-ო“... გესმის? პრეზიდენტ გამსახურდიას ერთი წლისწადიც კი ეყო ეკონომიკურად და ზნეობრივადაც საქართველო რომ მოეოხრებინა და მისთვის „ოთხი-ხუთი წელი“ კიდევ რომ ეცლოთ, ქვეყანას ხომ სულ ერთიანად საჰარას უდაბნოს დაამსგავსებდა და ჩვენ, ჯერ ახლა რა ვართ და... მაშინ ხომ სულ ლუშამიემად გადავაქცევდა?! მერე... მისმენ? „ამიტომ ვადანაშაულებ ყველას, ვინც ესროლა ქართველს, ვინც სისხლი დაღვარა, გაგვთიშა, გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ასე სწყუროდათ კომუნისტურ იმპერიასა და მათ მიზეურებს“-ო... ხედავ? ახალ მთავრობას აბრალებს იმას, რაც თავად გამსახურდიამ მოიმოქმედა და ახლაც განაგრძობს მაგვარ სამრახის საქმიანობას საქართველოსა და თავისივე თავის მოსაშვრელად. ალბათ, იტყვი, „ამგვარ „ზაიათებს“ უკვე მერამდენეჯერ ვიხმენ იმ გამსახურდიანით შეპყრობილი ქალებისაგან, რომელთა ეროვნული და პოლიტიკური ცნობიერება არ აღემატება იმ პაციენტისას, სწორი დიაგნოზის დასასმელად, ექიმმა რომ ჰკითხა:

— თქვენი ქმარი იმპოტენტია?

— არა, ბატონო, ჩვენ ორივე ზვიადისტი ვართ!

• • •

ჩანართი, არა ტელეფონით თქმული:

საერთოდ, ატესტატ-დიპლომის მიხედვით კი არა, არსებითად, რა განათლების, რა კულტურის დონეზეც დგანან გამსახურდიას ეს „უეთქებადი“ მხარდამჭერნი, ეს თუნდა იქიდანაც ჩანს, რომ მათ ოჯახებში მათივე სათაყვანებელი პრეზიდენტის დიდტანიან წიგნს — „წერილები, ესსეები“ — ვერ აღმოაჩენთ; როგორც წიგნის მოვაჭრენი სევდიანად იტყვიან ხოლმე, იგი ჩაწვა: ამ „უთვალავი“ მოთაყვანიდან არათუ წამკითხველი, სრულად 70 ათასი უბრალოდ მყიდველიც არ გამოუჩნდა... და მაინც, მიუხედავად ასეთი არასახარბიელო „საბაზრო სიტუაციისა“, პრეზიდენტავტორი გამომცემლობა „სამშობლოს“ ავალებს თავისი ნაწერების ხუთტომეულის გამოცემას!

...ეს ცნობა-ამბავი ცილისწამება და მონაგონში რომ არ ჩამითვალონ, კერძოდ, ვაკეში მცხოვრებმა ზვიადისანმა და შოთას მადიდებელმა („სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმიროვნო!“) ქართველმა ქალებმა, რომლებმაც 25 მარტს, ქართველი მწერლების ყრილობას უჩვენეს თავიანთი „საქმენი საგმიროვნო“ — დახიეს, აკუწეს, გათელეს და „საგმიროდ“ ცეცხლს მისცეს ასეთი ქართული წიგნები, ბუკინისტებთანაც რომ ვერ წააწყდებით, და ახლა, ნაბრძოლ-ნაომართ, სურვილი თუ აღეძრებათ, ერთი წიგნი მაინც მოეპოვებოდეთ საშინაო ბიბლიოთეკაში, შეუძლიათ დღესაც, 25 მაისს, მიაკითხონ ჭავჭავაძის პროსპექტზე, სახანძრო რაზმის პირდაპირ მდებარე მაღაზიას, სადაც ძალზე იაფად, ასი გრამი ნიგვზის ფასად, იყიდება მათთვის ყოველმხრივ მოსაწონი შემოქმედის, ნაპრეზიდენტალ გამსახურდიას „წერილები, ესსეები“ (დიახ, ორ „ეს-ეს“-იანი!).

ეს ხელმარცხნივ, ხელმარჯვნივ კედელზე კი შეეძლებათ ამოიკითხონ ხატოვანი ასოებით გამოყვანილი

ნეტავი იმ ერს, რომელსაც
კარგი ქალები ჰყავს.
აკაკი.

თითქოს დროული იქნებოდა, აქვე ძველი ბერძენი ფილოსოფოსის აზრსაც თუ გავიზიარებდნენ:

როგორიც ბრბოა, წინამძღვარიც ისეთია, რაც წინამძღვარია, ბრბოც მსგავსია მისი...
ზენონი.

ჩვენმა დრომ წინამძღვარს ლიდერი შეარქვა, მაგალითად, ზვიად გამსახურდიას...

• • •

ტელეფონით:

— ...მაგრამ ჩვენი საერთო გონებრივი უბედურება უფრო ის არის, რომ „სარანგში“ მთელი თავისი სიმაღლით არა ზვიადზე ვიღაც შეპრეტილი ასული წარმოგვიდგა, — სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის პროფესორი ზაურ კვარაცხელია და... ოი, დედა, რა სამარცხვინოა, რა სამარცხვინოა და, აფსუების სასიხარულოდ, ჩვენი საერთო, საერო საქმის, საქართველოს რა პირდამამხობელია, რომ ასეთი პატივსაცემი კვარაცხელიები და მგალობლიშვილებიც კი დგანან ახლა სოხუმში იმ „თავიანთ“ ცალკე მიტინგებზე, სადაც ფართოშუბლიანებს, ნადარეიშვილებსა და ჯაიანებს ვერ იხილავთ...

აგერ ახლა ზაარლანდის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა პირველი ჰუმანიტარული ნობათი რომ მოგვაშველა, ჩამომტანს დაავალა, დაწვრილებით გამიგეთ, ქართველებს ამჟამად ყველაზე უფრო რა ესაჭიროებათ, რომ შემდეგი რეისით ვაახლოთო... მინდოდა ჩვენი მთავრობის სახელით შემეთვალა, ჰერრ ოსკარ, ქართველებს წინათაც და, მით უმეტეს, ახლა ყველაზე მეტად არა ნიჭი, უფრო ჭკუა, ჭკუა გვჭირდება, — შეიძლება ნიჭიერი იყო და უჭკუო იყო, პირიქითაც არის ხოლმე, აკი ჭკუა და ნიჭი ერთდროულად არცთუ ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, — მაგრამ გადავიფიქრე, რადგან საქართველოს ურთგულესი გერმანელი მეგობარი ჩვენთვის, ქართველებისთვის, მაკარონისა არ იყოს, არც ამ უსაჭიროესი დეფიციტის გამოგზავნას დააყოვნებდა, რომ ეს ფიზიკურად შესაძლებელი იყოს... ეჰ, რამდენჯერ მითქვამს და ერთხელ კიდევ შევეხეთქები გულს, — ადრე არ მეგონა, თუ ასეთი ბრიყვი, წინდაუხედავი, თავისივე მტერი, ჭკუამოკლე იქნებოდა ჩვენი ერი...

— ო, არა მთელი ერი! — იმედიანად შევეპასუხე, — საქართველოში თუ არის პროფესორი ზაურ კვარაცხელია, ალბათ ჩინებული ციტრუსთმცოდნე, იმავე საქართველოში არის არაპროფესორი ვალერი კვარაცხელია, რომელიც ამგვარად მეშვიდე კლასშიც არ იმსჯელებდა... დიახ, საქართველოში თუ არის სოსო სიგუა, არის თენგიზ სიგუაც, თუ არის მზია ბაქრაძე, არის მარიკა ბაქრაძეც; თუ არის ავთანდილ რცხილაძე, არის ვიქტორ რცხილაძეც, ანდა ახლო წარსულიდან: დგას მთავრობის სახლის კიბე-„კათედრაზე“ პროფესორი ვახტანგ ბოჭორიშვილი და დაფნის გვირგვინით ამკობს ზვიად გამსახურდიას, იდგა უნივერსიტეტის კათედრაზე პროფესორი ანგია ბოჭორიშვილი და პატივს მიაგებდა სოკრატესა და პლატონს... მოდა, ცოტა მეც მერწმუნე, საქართველო არ დაიღუპება, თუკი დღევანდელი სახელმწიფო საბჭოს წევრების დიდი ნაწილი, რასაკვირველია, თავის თავმჯდომარიანად, მოხვდება მომავალ პარლამენტში და გამსახურდიაც ხელს აიღებს ქართველი ერის ისტორიაში აქამდე ენით უთქმელ და კალმით აუწერელ ბოროტებაზე...

• • •

რა ვქნა, ნამეტნავად მიჭირს დავფარო და ლამის დამცდეს, საცხვინველოდ ედუარდ შევარდნაძის თავდადებას მაინც აფერუმ-მეთქი; ეს მით უფრო, როცა იცი, პრეზიდენტი გამსახურდია მის ადგილზე როგორ მოიქცეოდა; არათუ მშფოთვარე ცხინვალს... იგი ხომ ახლაც ბუნკერშია, დუდაევის ბუნკერში, ვაითუ გროზნოსაც შემოაღწიონო კრემლის ქართველმა აგენტებმა, კერძოდ, პროფესორ ვახტანგ გოგუაძემ და პროფესორობამდე ჯერ კიდევ შორი გზით სავლელმა, პრეზიდენტნამყოფის გუმანით, პოტენციურმა შარლოტა კორდემ — სტუდენტმა ფიქრია ჩიხრაძემ, რომელთა შიშით, არჩევნების შემდეგ, ალმა-მატერს, მიუხედავად სტუდენტობის მხრივ არაერთგზის თხოვნა-მოპატიჟებისა, სათოფეზეც აღარ გაეკარა, თუმცა იქ ერთგული დაცვაც ეგულებოდა პროფესორ პროტესტო ყიყაჩაშვილის თავკაცობით, ქვეყნად პოპულარობა მეცნიერებით თუ ვერა, ეგებ ამით მაინც მოვიპოვოო...

მაისი, 1992 წელი.

დღევანდელი მინაწერი: ერთობ გამახარა იმ ამბავმა, რომ როცა აფხაზეთში ქართველებს ახლა ასე უჭირთ, ჩემი კარგი ნაცნობი ნოდარ მგალობლიშვილი, ღმერთმაც ქნას უკვე ყოფილი (?!) „ზვიადელი“, იქ ფართოშუბლიანთა რიგებში უყოყმანოდ ჩამდგარა.

ამას მეტი ფასი უნდა დაედოს უფრო იმიტომ, რომ მან ეს მოიმოქმედა, ვიდრე დღეს „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას „ზეპატრიოტული“ მიმართვა „ჩრდილოეთ კავკასიის საბრძოლო რაზმებისა და შენაერთებისადმი“ გამოქვეყნდებოდა, რომლის მსგავსს, სხვათა შორის, ავად სახსენებელი, თავმომჩრელი უკვდავებისთვის და საეპიტაფოდ — მხოლოდ კალმოსანი „პრეზიდენტი კოშმარული ოპერეტიდან“ თუ მოიფიქრებდა, რა თქმა უნდა, „ეროვნულ საკითხებში“ მისი ამჟამინდელი მრჩევლის ვალერია ნოვოდვორსკაიას და მოსკოვში ახლახან „დანიშნულ“, „რუსეთის მთავრობასთან აკრედიტებულ ელჩის“ ჩაჩავას გონებრივი ხელის შეწყობით!

ვინც იცნობს ზვიად გამსახურდიას პიროვნულ „მხედრულ-ვაჟკაცურ“ ბუნებას, ამ მიმართვის ბოლო სიტყვები „საქართველოს იმპერიის“ დათრგუნვა-დასამარცხებლად უთუოდ ნაკარნახევია არა იმდენად, მართლაც საბრძოლო ჟინით, რამდენადაც შიშ-კანკალით, ვაითუ მთიელთა კონფედერაციამ მე, როგორც ქართველი, მძევლად ამიყვანოსო:

„ჩემი მხრივ მზად ვარ თქვენს რიგებში ჩავდგე უბრალო მებრძოლად, თუ ამის ნებას მომცემთ და უზენაესის ნებაც იქნება“.

საკითხავი კია, „ბატონი პრეზიდენტი“ ამ შემთხვევაში რომელ უზენაესს შესთხოვს — ალაჰს თუ მამაზეციერს?!

გულით მინდა ესეც ვიცოდეთ და დავიხსომოთ: „საქართველოს იმპერიას“ დაშლა თუ არ უწერია, მისი ყოფილი პრეზიდენტ-„იმპერატორი“ დოლარებზე გაწუწკებული, თურქეთში ნამოგზაურები კახპა „კდემამოსილივით“ ურცხვად გადათქვამს, რომ მას ამ „მიმართვასთან“ საერთო არაფერი აქვს, და რომ ეს შეთხზეს მისმა მტრებმა, შევარდნაძისტებმა...

და იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ამას მისი მოტაშ-მოფანდურენი სულ იოლად დაიჯერებენ.

25 აგვისტო, 1992 წელი.

გამოსათხოვარი

ბელა მირიანაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მსახიობი ბელა შალვას ასული მირიანაშვილი.

იგი დაიბადა 1938 წელს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც 1960 წელს დაამთავრა. იმავე წლიდან ბელა მირიანაშვილი სიცოცხლის ბოლო დღემდე დაკავშირებულია რუსთაველის სახელობის სახელგანთქმული თეატრის კოლექტივთან — მუშაობს ჯერ მსახიობად, ხოლო 1977 წლიდან რეჟისორად.

ბელა მირიანაშვილის სამსახიობო კარიერის დასაწყისი თავბრუდამხვევი წარმატებებით აღინიშნა. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ინტენსიურად იღებდნენ ფილმების მთავარ როლებში, რომელთაც გამორჩეული აღიარება მოიპოვეს მაყურებელში და ამაში განსაკუთრებული წვლილი ბელა მირიანაშვილს მიუძღოდა, რომელიც კინოვარსკვლავის ყველა ღირსებით იყო შემკული. ფილმებს ბელას მონაწილეობით, დღესაც სიამოვნებით უყურებს ყველა თაობის მაყურებელი და ეს ნიშანია მსახიობის საოცარი მომხიბვლელობისა და დიდი ნიჭისა. „საბუდარელი ჭაბუკი“, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „უდიპლომო სასიძო“, „წარსული ზაფხული“, — ამ ფილმებმა შემოგვინახეს ბელა მირიანაშვილის აქტიორული ინდივიდუალობა და სინატიფე.

ბელა მირიანაშვილს, სამწუხაროდ, მხოლოდ ათიოდე წელი არგუნა ბედმა რუსთაველის თეატრის სცენაზე ეთამაშა და თავისი გულწრფელი და ნათელი ხელოვნებით სიხარული მიენიჭებინა მაყურებლისთვის. ამ მოკლე პერიოდში მსახიობმა შეძლო შეექმნა ისეთი სისხლსავსე და შთამბეჭდავი სახეები, როგორიცაა: ლიდა მატისოვა (პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“), მაგდა (ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში“), მზია გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“), ელენ (უ. გიბსონის „სასწაულმოქმედი“), თამუნია (ვ. როზოვის „ვახშმობის წინ“), ბეტი (ა. მილერის „სეილემის პროცესი“), პაკი და კორდელია (შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „მეფე ლირი“), ანგელოზივით გოგო (მ. ელიოზიშვილის „ბევრი მეზურნეები“), უფლისწული (ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“), ელენ (ე. ლაბიშის „ჩალის ქუდი“), სონა (ა. ცაგარელის „ხანუმა“), ლაურა (ტ. უილიამსის „შუშის სამხეცე“), მარია ხოსეფა (ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“), ელენე (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“).

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ბელა მირიანაშვილს ეყო შინაგანი ძალა, გაეგრძელებინა მუშაობა მშობლიურ თეატრში, როგორც რეჟისორის ასისტენტს. სხვაგვარად მას არ შეეძლო, უთეატროდ იგი ვერ იარსებებდა. აქაც გამორჩეული შემოქმედებითი სიხარული მოუტანა მას რუსთაველის თეატრის საყოველთაოდ აღიარებული სპექტაკლების წარმატებებმა, სადაც, მისი, როგორც ასისტენტის, მცირე წვლილიც იყო შეტანილი.

გულისტკივილით და მადლიერების გრძნობით ვემშვიდობებით შესანიშნავ მსახიობს, ადამიანს, მოქალაქეს, მომხიბვლელ პიროვნებას ბელა მირიანაშვილს, რომლის ხანმოკლე, მაგრამ განუმეორებელ ხელოვნებას დავიწყება არ უწერია.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; კონცერნი „ქართული ფილმი“; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

ახალი წიგნი

ომონიმთა ლექსიკონი

ავთანდილ სიხარულიძე

ქართული ენის ომონიმთა

ლექსიკონი

თბილისი

ახლახან ამ წიგნის გამოჩენით უაღრესად საჭირო და საინტერესო გამოცემა მიიღო მკითხველმა — ეს გახლავთ „ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი“ (თბილისი. 1992), რომელიც შეადგინა ავთანდილ სიხარულიძემ; რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ სარჯველაძე. აღნიშნული წიგნი ქართულ ლექსიკოგრაფიაში ომონიმთა ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა. — ომონიმები ენის განვითარების, ერის ისტორიის და მსოფლიოს ხალხებთან ურთიერთობის საუკეთესო მაჩვენებელია, ამიტომ, ასეთი ლექსიკონი ყველა კულტურულ ერს უნდა ჰქონდესო, წერს წინათქმაში ლექსიკონის შემდგენელი.

ლექსიკონში სიტყვები ძირითადად ახსნილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით. ან უშუალოდ მასზე დაყრდნობით.

შემდგენელს ავთანდილ სიხარულიძეს დიდი შრომა გაუწევია, მისი ნაჯაფი მისასალმებელია. იგი უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევს ენის წიაღში ჩაღრმავებულ მკითხველს. ამ ხასიათის ლექსიკონი, იქნებ სასურველი სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ ქართული სიტყვის დიდი მესაიდუმლე სულხან-საბა ორბელიანი ხომ ამბობდა: „სრული გვიან საპოვნელია“; საფუძველი ჩაყრილია, სერიოზული მუშაობაა გაწეული, მომავალში იგი შეივსება და ამდენად, ლექსიკონიც უფრო სრული და მრავალფეროვანი გახდება.

გიორგი ლალიაშვილი.

ოსებმა გადაწყვიტეს...

ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან დღეს ბევრი „მოხალისე“ შემოდის საქართველოში და აფხაზეთისათვის მხარდამჭერის საბაბით არაერთ უკეთურობას ჩადის. ისინი იარაღით ხელში აფხაზ სეპარატისტების გვერდით იბრძვიან ქართველთა წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონას ოსურმა მოსახლეობამ ნამდვილად კარგი თაოსნობა გამოიჩინა — 30 ათასი მანეთი შეიტანა საქართველოს დაცვის ფონდში. გარდა ამისა, მათ გადაწყვიტეს, კავკასიონის მთების გადმოსასვლელები, რომლებიც ლაგოდეხის რაიონს დაღესტანთან აკავშირებს, საიმედოდ ჩაკეტონ, რომ იქიდან ვერავინ შემოაღწიოს.

ვახტანგ გოზალიშვილი.

წუთისოფელი

ცისანა სიხარულიძე

ქაშვეთის ეკლესიიდან გალობა ისმოდა. მამა ელიზბარი წირავდა. იქვე კუთხეში მანდილოსანი იდგა. ქალს ცრემლი ჩასდგომოდა თვალში და ჩუმად ლოცულობდა.

წირვა გათავდა.

— დედაშვილობას, ხელი შემაშველე, მიჭირს კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა, — მთხოვა მან.

ეკლესიის ეზოდან გამოვედით. ბნელოდა. ლამპიონები მხოლოდ აქა-იქ ენთო. სიბნელესა და სამარისებურ სიჩუმეში ჩვენ წინ აღმართული მესერშემოვლებული ჩამწვარ-ჩაფერფლილი სახლები შემაძრწუნებელ სურათს ქმნიდა. გარინდებულნი შევცქეროდით სიცოცხლეწართმეულ გამზირს — ტოტებჩამოცლილ, წელში გატეხილ ჭადრებს.

— ჩემი სკოლა... რა დღეშია... აქ გავზარდე შვილები, როგორ მიყვარდა აქ მოსვლა. ეს ჭადრები მიყვარდა. მათი ფოთლების შრიალი თითქოს ჩემს ახალგაზრდობაზე, წარსულზე მეჩურჩულებოდნენ, სიცოცხლე ჩქეფდა მაშინ რუსთაველზე. ახლა კი... ღმერთო ჩემო... ბავშვები მეცოდებიან. დააკვირდით, რა მოწყენილი და სევდიანი თვალები აქვთ... ბავშვობა წავართვით. ეს რა დავმართეთ ჩვენს მომავალს, ჩვენს მამულს, ღმერთო ჩემო...

ეს ამბავი რომ გავიგე, შინ ვეღარ გავჩერდი. შვილს ვთხოვე და აქ მომიყვანა. სკოლასთან ბავშვები დამხვდნენ.

— თამრიკო, ტირი? — ეუბნებოდა უმაწვილი გოგონას.

— ჰო... არ არის სატირალი? შენც ხედავ სკოლა აღარა გვაქვს.

— იცი, მეც რომ მოვედი, მეც მინდოდა ტირილი, მაგრამ თავი შევიკავე, უფროსებს მოვერიდე, ისინიც ტიროდნენ და.. ხვალ მოხვალ? — ჰკითხა ბიჭმა და გოგონას თავზე ხელი გადაუსვა.

— მოვალ, შინ რა გამაჩერებს!

— მეც თამარი მქვია, — განაგრძობდა იგი. — მინდოდა დამემშვიდებინა შეწუხებული ბავშვები, მაგრამ ძალა არ მეყო. ან რა უნდა მეთქვა?! ან და, რა მქონდა სათქმელი, როცა მათ წინაშე ჩვენვე ვართ დამნაშავენი. სიმშვიდე დავუკარგეთ პატარებს, ნდობა დავუკარგეთ მათ თვალში. აბა, რა იქნება, ტყვიის ქარ-ცეცხლში ვაძინებთ და ვაღვიძებთ დღესაც... ეჰ, ამოიოხრა თამარმა და მკითხა.

— ქვევით ხომ არ მიდიხართ?

— სახლამდე მიგიყვანთ, ქალბატონო.

ჰოი, დედანო...

—არა, რას ბრძანებთ, იქ, ქვემოთ, შვილი მომაკითხავდა უკვე... აქ, რუსთაველზე, ჩვენი ახალგაზრდების სისხლით მორწყულ მიწაზე, მანქანით აღარ მოდის... მე რომ შემეძლოს, მე რომ ძალა მქონდეს, საერთოდ ავკრძალავდი აქ, ამ ადგილებზე კომფორტით სიარულს. არავითარ ტრანსპორტს არ გავუშვებდი. აქ, ამ ადგილას მხოლოდ ქვეითად უნდა დადიოდეს ხალხი. მდუმარება უნდა სუფევდეს, რომ პატივი მივაგოთ გულში დაჭრილ ადგილის დედას, მაგრამ მე, მე ვინ მკითხავს ამას, ჩემო კარგო...

— თუ აქეთ მობრძანდებით, ერთად წავიდეთ, — მითხრა მან და ხელი მომკიდა. ორივენი უსიტყვოდ, ნელა მივდიოდით ნანგრევებად ქცეულ ნატყვიარ, დაცარიელებულ პროსპექტზე. სიჩუმე კვლავ ქალბატონმა თამარმა დაარღვია.

— საბურთალოზე, ერთ ოჯახში ორ ვაჟკაცს ტიროდნენ. გარდაცვლილ შვილებს შორის შუაში ჩამხობილი დედა მოთქვამდა — ვინ იცის ერთმანეთის ტყვიით ხართ განგმირულიო... ერთი ერთ მხარეს იბრძოდა, თურმე, და მეორე — მეორე მხარეს. — ობლად გავზარდეთო, ძმამ ძმა სათოფედ როგორ გაიმეტეთო, რა ვუთხრა ხალხს, რა პირით შევხვდე იმ ქვეყნად მამათქვენს. თავი რით ვინუგეშო, სიცოცხლე რად გამიმწარეთო, — მოთქვამდა, თურმე, ტანჯული დედა.

ეს რომ მიამბეს, ორი დღე ლოგინიდან ვეღარ წამოვდექი, ანაზდად „მამელუქი“ გამახსენდა. უიარაღო რომ ამბობს ბოლოს, ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენო.

მართლა რა ბედკრული ყოფილა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი. გაუტანლობა გვღუპავდა ყოველთვის. ამის მიზეზია, რომ ასე დავილიეთ და დავპატარავდით. ერთად შეკრულებს წინ, აბა, ვინ დაგვიდგებოდა. ბრძენი ხალხი არ გვყავს თუ წინამძღვარნი. ჩვენგან დევნილნი, თუ ჩვენგან წასულნი სხვის ქვეყნის ბედნიერებისთვის იღვწოდნენ მუდამ. აკი ბრძენი სულხან-საბაც ამას გვმოძღვრავს?!... ერთად შეკრულებს მტერი ვერას დაგვაკლებს, ცალ-ცალკე ადვილად მოგვერევა და დაგვცემსო. ცალ-ცალკე დგომამ დაგვაპატარავა და გაგვთიშა. ისე ნუ გავიხდით საქმეს, რომ ამ კურთხეულ ძირძველ მშობლიურ მიწაზე სხვა მეხრეობდეს, სხვა მღეროდეს და ჩვენი ურმული, კრიმანჭული და ოდოია აღარ ისმოდეს.

ეს ქართველების ძირძველი ბუდე ქართული ენისა და ქართული სისხლისგან იწრიტება.. გაშლილ სუფრასთან კარგები ვართ ყველანი. იქიდან ამდგრები კი ცხვირ-პირს ვუსისებთ ხოლმე ხშირად ერთმანეთს. რაღაც ასევე ხომ არ დაგვემართა ცხოვრებაშიც?.. ღმერთო, იხსენი ტანჯვისაგან ჩემი ქვეყანა,— სასოებით წარმოთქვა მან...

ვუახლოვდებით დათქმულ ადგილს. შვილი უკვე ელოდებოდა დედას. ქალბატონმა თამარმა გამომშვიდობებისას მითხრა, მაპატიეთ, თავი შეგაწყინეთ. ამ წუთისოფელში დროებით ვართ მოსულნი და შთამომავლობისათვის ეს მძიმე ტვირთი არ უნდა დაგვეტოვებინა. ქვეყანა მრავალმტერმომრევ ერად გვიცნობდა. ჩვენს რაინდულ სულს, კლდემამოსილეობას, ნიჭიერებასა და სიყვარულს გვაქებდნენ. შოთას სიბრძნით დამოძღვრებულ ერს გვიწოდებდნენ, ახლა კი... ვაგლახ, რომ ვერ გავუფრთხილდით, წინაპართა დანაბარები ვერ შევასრულეთ, ჩემო ტანჯულო ქვეყანავ, — თქვა და გამომემშვიდობა. ქალბატონ თამარს კიდევ ბევრი რამ დარჩა სათქმელი, მაგრამ შვილს მოერიდა. ცოტა ხანიც და მანქანა წავიდა. მაშინღა გამახსენდა, რომ მისთვის გვარი არც კი მიკითხავს.

გულდამძიმებული გამოვბრუნდი. აღმართს ავუყევი. ნამგალა მთვარე თავს დანათოდა დედაქალაქს. სიფრიფანა, გამჭვირვალე თოვლის ფანტელები ცვიოდა ციდან. ანაზდად ქარმა დაიზუზუნა და ჭერჩაქცეული ნასახლარიდან ახვეტილი ფერფლი სახეში შემომაყარა. დამწვრის მწარე გემო და სუნი ვიგრძენი.

გზა განვაგრძე...

პროსპექტზე წელგამართული ორი ბრძენკაცის ხატება შემომეგება, ისინი იავარქმნილ მხარეს გადაჰყურებდნენ და მოძმეთა შერკინების მოწმენი, ადგილის დედას პირისუფლად, იმედად და ფარად თავს დასდგომოდნენ.

მათი იმედი მუდამ ახალგაზრდობა იყო.

და ეს იმედი ნურც მოგვიშალოს ღმერთმა...



შვილმოკლული.

ბონდო დვალიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული ფირმა „თბილსაგარეომომსახურება“ გაცნობებთ, რომ ა. წ. 5-დან 15 სექტემბრამდე ქ. თბილისში სპორტის სასახლის შენობაში მოეწყობა ირანის ისლამის რესპუბლიკის საქონლის გამოფენა-გაყიდვა.

გაყიდვა იწარმოებს თავისუფალ კონვერტირებულ ვალუტაზე.



ყველას, ვისაც იზიდავს საბრძოლო ხელოვნება

იწვევს კლუბი „ჯიკი“. კლუბში მუშაობენ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მწვრთნელები. კლუბს ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. იგი შეღავათებს უწევს მრავალშვილიან და სხვადასხვა მიზეზით ხელმოკლე და დაზარალებულ ოჯახებს. კლუბს, რომლის პრეზიდენტია გოჩა ჯავახია, ფილიალები აქვს საბურთალოს, მთაწმინდის, ნაძალადევის, ორთაჭალის და გლდანის რაიონებში, ასევე სოფელ ასურეთსა და თეთრწყაროში. მსურველებს შეუძლიათ მოგვაკითხონ შემდეგ მისამართზე: ინგოროყვას № 2 (ყოფილი ცეკას შენობაში არსებულ დარბაზში), უნივერმაღ „თბილისის“ უკან, მისასვლელია სულხან საბას ქუჩიდან, ყოველდღე 16 საათიდან. ტელ.: 81-02-79 ან 98-61-87.

თუ გსურთ თქვენი ოფისი დაამშვენოთ თანამედროვე დიზაინით შესრულებული მოხერხებული უცხოური წარმოების ავეჯით, მიმართეთ ფირმა „კომპის“.

ტელეფონი: 39-29-14 (9-დან 19 საათამდე).

გიწვევთ სამოგზაუროდ!

ვისაც გსურთ, დაისვენოთ იტალიის თვალწარმტაც სანაპიროზე, იმოგზაუროთ სხვადასხვა ქვეყნებში, დაათვალიეროთ ვენეცია, პარიზი, პეკინი, ბრატისლავა, ვენა, სირია გვეწვიეთ საერთაშორისო ტურიზმის ცენტრში „ბერიკა-ტური“, რომლის ახალი მისამართია: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 41, ტელ.: 98-90-12.

კრიმინალური ქრონიკა

გატაცებულია ფასდაუდებელი ხალიჩები

სამეგრელოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის საკოორდინაციო შტაბს, რომელიც აგვისტოს დამდეგს შეიქმნა ქალაქ სენაკში, ათობით მოქალაქე მიმართავს. ყველას სურს, შეხვდეს შტაბის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, პოლიციის გენერალ-მაიორს რომან გვენცაძეს. ისიც ყველანაირად პოულობს საჭირო სიტყვებს, რომლებიც წამალზე უკეთ მოქმედებს განერვიულებულ, დაზარალებულ ადამიანებზე. ერთს მანქანა მოპარეს, მეორე გაძარცვეს, მესამეს ბინა გაუქურდეს... თითოეული ფაქტის დასადგენად ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებანი.

ამას წინათ მიმართა ნადეჟდა გვაძაბიამაც, ცნობილმა ქართველმა მხატვარმა, საერთაშორისო და რესპუბლიკური გამოფენების ლაურეატმა. იგი, წარმოშობით პოლონელი, მრავალი წელია ცხოვრობს საქართველოში, კერძოდ, ქალაქ სენაკში, სადაც ადგილობრივი ხალიჩების კომბინატის მთავარი მხატვარია. სწორედ მისი დახვეწილი მხატვრული გემოვნების და ნიჭის მეოხებით მსოფლიოში გაითქვა სახელი კომბინატის ხალიჩებმა.

დიდხანს ყვებოდა ნადეჟდა გვაძაბია თავის სევდიან ამბავს, არც განსაკუთრებული პრეტენზიები და საჩივარი გამოუთქვამს ვინმეს მიმართ. მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სენაკის ფილიალს ამშვენებდა ხალიჩის ოთხი შედევრის მუდმივი ექსპოზიცია, რომლებიც ნიჭიერმა მხატვარმა შექმნა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა დროს სენაკის ხალიჩების კომბინატში. ეს ხალიჩები, რომელთა ზომა თითოეულისა 8X4 მეტრია, „საქართველო“, „ქართული ორნამენტური“, „ქართული ნათელი“ და „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ აოცებდა ნადეჟდა გვაძაბიას პერსონალური გამოფენების დამთვალიერებლებს პარიზსა და ლონდონში, მოსკოვსა და ვენაში, ტოკიოსა და სტამბოლში, ციურიხში და, რა თქმა უნდა, თბილისში.

მიმდინარე წლის თებერვალში ფილიალის მუშაკებმა ნადეჟდა გვაძაბიას ურჩიეს შინ წაეღო თავისი ფასდაუდებელი ნახელავი, რადგან მათი დაცვის გარანტია არ ჰქონდათ. მაგრამ ნადეჟდა გვაძაბია იმედოვნებდა, რომ მისი ხალიჩები მუზეუმის ფილიალში უკეთ იქნებოდა დაცული, ვიდრე ბინაში. პირველი მარტი მხატვრისთვის მისი შემდგომი უძილო ღამეების დასაწყისი გახდა. უცნობმა დამნაშავეებმა გამოამტვრიეს მინები, შეაღწიეს ფილიალში და გაიტაცეს მხოლოდ ოთხი უზარმაზარი ხალიჩა, სხვა არაფრისთვის უხლიათ ხელი.

ამ ფაქტის გამო, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ დაპირებების გარდა, მას არაფერი მიუღია ჯერჯერობით. იმათ, ვინც იცნობს ამ მოკრძალებულ მხატვარს, შეუძლიათ გაიგონ, რომ იგი ვერ გაბედავდა ჩივილს ზემდგომ ორგანოებში. ელოდა და იმედოვნებდა, რომ ხალიჩებს დააბრუნებდნენ. „ჩემი ხალიჩები ჩემს მეორე სამშობლოს — საქართველოს ეკუთვნის“, — ხშირად უთქვამს ნადეჟდა გვაძაბიას. გარდა ამისა, ხალიჩების გატაცების შემდეგ გაძარცვეს მისი პერსონალური სახელოსნოც.

საქართველოს პოლიცია, რა თქმა უნდა, მიიღებს საჭირო ზომებს, მაგრამ საკოორდინაციო შტაბში მთხოვეს, პრესის საშუალებით მიმემართა გაზეთის ყველა მკითხველისთვის, თუ ვინმემ რამე იცის მოპარული ხალიჩებისა, სასწრაფოდ შეატყობინოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ლევან დოლიძე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს. თბილისი. ხოშარაულის 24.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია [illegible]